საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი 3 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 173 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 173

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
## ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

9 მარიამობისთვიდან ტფილისში გამოვა
ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
## „სოფლის მუშა"
ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა
გაზეთი გამოვა ორშაბათობით
მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის" სახელზე—ტფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის".
სარედაქციო კოლეგიაში შედიან { ალ. ლომთათიძე. ივ. გომართელი. სტ. ელიაძე.

## ტფილისის საპედაგოგიო ინსტიტუტი
(არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტთან).
ამით აცხადებს, რომ თხოვნების მიღება სწარმოებს
20 ივლისიდან 30 აგვისტომდე
როგორც პირველის, ისე მეორე საფეხურისათვის,—ყველა დარგებზე. მიიღება თხოვნები აგრეთვე ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ყველა კლასებში. მისამართი: ტფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 91. კანცელარია ღიაა: 8—11 ს. დილით—ყოველ დღე (უქმის გარდა). (ნ. 12—4)

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ მას აქვს დამზადებული საუკეთესო ღირსების
## წისქვილის ქვები
ხელმისაწვდომ ფასებში. მისამართი: ქ. ზესტაფონი, ერობის გამგეობა. (2398 5—4)

## საყურადღებოთ.
დავით იაგორის ძე
## კალანდაძე
აცხადებს
რომ სავაჭრო სახლის
## ძმ. სეილანოვების
რექტიფიკაციის ქარხანა, კონიაკის, არყის და ლიკიორების გადმოვიდა მის ხელში საკუთრებად 1 აგვისტოდან და ახლო მომავალში ნაწარმოები გამოვა თავის საკუთრის ფირმით. ვაგზლის ქუჩა, № 5, ხახლი სომხის სასულიერო სემინარიისა. (2513—6—1)

დღეს (3 აგვისტოს) მოწვეულია ვერის რაიონის (4) სახალხო გვარდიის, ფრონტის შემდეგ—პირველათ
## საზოგადო კრება
გასარჩევია მრავალი საყურადღებო კითხვები. დასწრება ყოველივე გვარდიელისათვის სავალდებულოა. სალამოს ექვს საათზე გაიხსნება კრება. ვერის რ. სახ. გვარ. შტაბი. (ნ. 1—1)

## მუშათა დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა რუსეთში

საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრმა პროვინციის წარმომადგენლების თანადასწრებით უკვე აირჩია წევრები მუშათა დელეგაციისა, რომლებიც საბჭოთა რუსეთში უნდა გაიგზავნონ. არჩეულ დელეგატების სია გვიჩვენებს, რომ დელეგაციის გაგზავნა მუშებს ისეთ საქმედ მიაჩნიათ, რომელიც პარტიულ კერძოობის გარეშე უნდა იდგეს; ამ საქმეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და დელეგატთა სიაც იმ განზრახვით არის შედგენილი, რომ შიგ ყოველმა მიმართულებამ ჰპოვოს თავისი გამოხატულება: მასში ადგილი დათმობილი აქვს, გარდა სოც.-დემ. პარტიისა, ფედერალისტებსაც, ესერებსაც, დაშნაკელებსაც, ე. ი. ყველა იმ პარტიებს, რომლებსაც ჰყავთ ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშები. დელეგაციის შედგენის ასეთი წესი ჩვენ სრულიად სწორად მიგვაჩნია: ყოველივე პარტია თავისებურად ხედავს ფაქტებს და თავისებურად აშუქებს მათ. საჭიროა, რომ რუსეთში ნახულ-გაგონილი ყოველ მხრივ იყოს გაშუქებული და ჭკონ-დაწონილი; საჭიროა, რომ ჩვენმა მუშებმა საბჭოთა რუსეთიდან ჩამოიტანონ მისი დღევანდელი სინამდვილის სრული სურათი.

დელეგაციის ასეთს შემადგენლობას კიდევ სხვაფრივ ექნება დიდი მნიშვნელობა. საბჭოთა რუსეთის მუშები პირისპირს შეხვდებიან საქართველოს მუშებს, არა პარტიის წარმომადგენლებს, არამედ ნამდვილ მუშებს. რუსეთის მუშებამდის მივა ხმა ჭეშმარიტი დემოკრატიისა; დემოკრატიის მოწინავე რაზმი, მის სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველი ამცნობს რუსეთის მოწინავე დემოკრატიას თავის პროგრამს, თავის ზრახვებს თავის შეხედულებას ახლო წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე; იგი ჩაახედებს რუსეთის დემოკრატიას საქართველოს ხალხის დღევანდელ ცხოვრებაში, აგრძნობინებს იმ გარემოებებს, რომლების გავლენითაც საქართველოს დემოკრატია ირჩევს ამა თუ იმ პოლიტიკურ გზას, და ამგვარად შეეცდება გაამთელოს ის კავშირი, ის ერთსულოვნობა, რომელიც ასე მჭიდრო იყო სულ 3 წლის წინათ და რომელიც ასე სამწუხაროდ გაწყდა მსოფლიო რყევის პროცესში.

დიახ, მუშათა დელეგაციის გაგზავნის მთავარ მიზანს ჩვენ სწორედ ამაში ვხედავთ: მან უნდა აღადგინოს კავშირი საქართველოს და საბჭოთა რუსეთის დემოკრატიას შორის, მან უნდა ისევ დაახლოვოს ეს ორი დაშორებული ფრთა საქვეყნო დემოკრატიისა. სწორედ ეს მიზანი მიაჩნიათ მიუღებლად ქართველ შოვინისტებს. მათი გაზეთი („კლდე" № 41) სწერს: „რუსეთში მუშათა დელეგაციების გზავნას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან არც ქართველი მუშებისათვის არც საქართველოს რესპუბლიკისათვის". შოვინისტების გაზეთი შიშს გამოსთქვამს, რომ „ეს (დელეგაციის გაგზავნა) ისევ ის ძველი **რუსოფილური** (კურსივი „კლდის" ეკუთვნის) პოლიტიკაა, რომლითაც თავის დროზე მოწამლეს ქართველი ხალხის გული და სული". ჩვენ არ ვიცით, როგორც შეუძლიან „სულის და გულის მოწამლვა" **რუსოფილობას** (რუსთ-მოყვარეობას), მაგრამ ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ **რუსო-ფობობა** (რუსების სიძულვილი), რომელსაც ასე გააფთრებით ქადაგებს ბ. ვეშაპელის პარტია დღიდან თავის დაარსებისა, არსებითად მომწამვლელი და მომშხამელია. რუსეთშიაც არიან თავისი „ვეშაპელისტები", რომლებიც ისევე კბილებს აკრაჭუნებენ ქართველების წინააღმდეგ, როგორც ჩვენი „კლდე"—რუსების წინააღმდეგ: ესენი არიან საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ნაციონალიზაციით და ლიკვიდაციით გაბოროტებული ყოფილი რუსის ჩინოვნიკები და აფიცრები, შარშან დენიკინის მომხრეები, დღეს კი „მორწმუნე კომუნისტები". მუშათა დელეგაციის დანიშნულებაა, სხვათა შორის, გასწმინდოს საბჭოთა რუსეთში რუს-„ვეშაპელისტების" მიერ საქართველოს დემოკრატიის საზიანოდ მოწამლული ჰაერი.

„კლდე" გვარწმუნებს, რუსეთში კი არა, ევროპაში უნდა გაეგზავნათ მუშათა დელეგაცია: „იქ მართლაც ნახავდენ და შეისწავლიდენ ნამდვილ ევროპიულ პროლეტარიატის ცხოვრებას და პოლიტიკას".

ჩვენ ამის საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არა გვექნება რა: ევროპაში მუშათა დელეგაციის გაგზავნას მართლაც დიდი მნიშვნელობა ექნება და ეს აზრი მუშათა წრეებში დაიბადა მაშინ, როდესაც „კლდეს" სიზმარშიაც არ მოზმანებია. მაგრამ დელეგაციის გაგზავნა რუსეთში უფრო საჩქაროა და უფრო დაუყოვნებელი. თუმცა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის ხელშეკრულებაა დადებული, მაგრამ ადგილობრივი კომუნისტების წყალობით ამ ორ სახელმწიფოს ურთიერთობა არ არის იმდენათ მოწესრიგებული, რომ მომავლისათვის სიფრთხილე არ გვმართებდეს. საჭიროა პირდაპირი, უშუალო მჭიდრო კავშირი არსებობდეს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის დემოკრატიას შორის, რომ ადგილობრივი კომუნისტების ვერავითარმა ინტრიგებმა და ვერავითარმა შარებმა ვერ შესძლოს ამ ორ სახელმწიფოს შორის მიღწეული თანხმობის დარღვევა.

## ინგლისის მუშათა პარტიის კონგრესი

ჩვენს გაზეთში იბეჭდება ანგარიშ. ინგლისის მუშ. პარტ. ყრილობისა. მკითხველმა იცის, რომ ინგლისის ეგრედ წოდებული სოციალისტური პარტია, რომელსაც ათიათასი წევრი ჰყავს, მესამე ინტერნაციონალს შეუერთდა. ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია რამზეი მაკდონალდის მეთაურობით, რომელშიც ითვლება ორმოცდახუთი ათასი წევრი, მეორე ინტერნაციონალიდან გავიდა, ხოლო მოსკოვთან შეერთებაზედ უარი განაცხადა.

როგორც ყრილობის ანგარიშიდან სჩანს, ინგლისის დამოუკიდებლები დარჩენილან შეერთებული მუშათა პარტიის შიგნით. ჩვენთვის და მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისთვის ინგლისის შეკავშირებულ მუშათა ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ინგლისის მუშათა ყრილობის დადგენილებებს ჩვენთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბრიტანეთის პრემიერი ლოიდ ჯორჯის აზრს ბურჟუაზიულ ურთი-ერთობისთვის.

როგორც მკითხველი დაინახავს ანგარიშებიდან, ინგლისის მუშები არჩევენ არა მარტო შინაურ კითხვებს, არამედ—საერთაშორისო მდგომარეობასაც. ომამდის ევროპის მუშათა პარტიები უმთავრესს ყურადღებას შინაურ საქმეებს აქცევდნენ. დღეს ხდება წინააღმდეგი. განსაკუთრებული ყურადღება საერთაშორისო მდგომარეობას აქვს მიქცეული. ამ მსოფლიო ომმა ყველა ბოროტებასთან ერთად ერთი სიკეთეც მოიტანა. ნაციონალური სექციები გამოიყვანა კარჩაკეტილ მდგომარეობიდან და მისი აზროვნების წინაშე ფართო ხასიათის კითხვები წამოაყენა. ინგლისის მუშების ყრილობა პასუხს აძლევს ამ კითხვებს.

მკითხველი შენიშნავს, რომ ინგლისის მუშათა პარტია დადგენილების გამოტანის დროს ფრთხილად იქცევა. ეს აიხსნება ერთი მხრით იმ უდიდესი პასუხისმგებლობით, რომელიც მათ დააკისრა ისტორიამ, ხოლო მეორე მხრივ იმ ოპორტიუნისტულ სკოლით, რომლის გავლენა დღესაც ეტყობა ამ უდიდეს პარტიას. მაგრამ ნურავის ჰგონია, რომ ასეთი რყევა ხელს შეუშლის მათ ხელში აიღონ ძალა-უფლება. ეს უფრო გარემოების საკითხია, ვიდრე მათი აშკარა სურვილის. გერმანიის მეუმრავლესეებს რამოდენიმე თვით რევოლიუციის წინ არ სწამდათ მისი აუცილებლობა და არ ეგონათ, რომ სახელმწიფოს სათავეში მოექცეოდენ. ისტორიულმა მსვლელობამ სულ სხვანაირად გადაჭრა კითხვა. ასე მოხდება ინგლისშიაც. ოფიციალური ოპოზიცია იძულებული იქნება, თუნდაც მის ნაწილს ეს არ უნდოდეს, სახელმწიფოს სათავეში მოექცეს. ეს იქნება უდიდესი დღე საერთაშორისო მოძრაობისთვის.

ბ. თეკლათელი.

## პრესა

ამას წინათ ჩვენ მოვიყვანეთ ჩვენებური კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების არა-ლეგალური მუშაობის ისეთი ნიმუშები, რომლის წინააღმდეგ, ჩვენის რწმენით, თვით „კომუნისტიც" ვერას იტყოდა. მაგრამ „კომუნისტი" მაინც „არღვევს" ამ ფაქტებს. ბათუმის ორგანიზაცია, ამბობს იგი, ინგლისის ოკუპაციის დროს მოქმედებდა არა-ლეგალურად. სოხუმის საოლქო კომიტეტის ცირკულიარი ფარული ორგანიზაციების მოწყობის და ფარული მუშაობის გაძლიერების შესახებ ეხებოდა იმ დროს, როდესაც საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის არ იყო დადებული ხელშეკრულობა. მაგრამ ვეკითხებით „კომუნისტს": სოხუმის ორგანიზაციამ ხელშეკრულობის დადების შემდეგ **გააუქმა თუ არა, ეს ცირკულიარი?** თუ არ გააუქმა, მაშ ის ძალაში ყოფილა და მისი პასუხისმგებელია როგორც კომუნისტური პარტიის სოხუმის კომიტეტი, ისე ამ პარტიის ც. კომიტეტიც—პასუხის-მგებლობას ვერსად წაუხვალთ.

ერთ დანაშაულში კი თვით გაუტეხელი „კომუნისტიც" იძულებულია გატყდეს:

„თუმცა გარეგნული, უშინაარსო და მხოლოდ სიტყვიერი, მარა მაინც რაღაც „საბუთის" მგვასი რამ ეძლევათ მენშევიკებს, თუ კი მართლა „გაგრის რევკომის" სახელით რაიმე საბუთის გაცემას ქონდა ადგილი, ვინაიდან არც ივლისში, და არც ივნისში არავითარი რევკომი ან სხვა რაიმე სამხედრო ორგანიზაცია ჩვენი პარტიის არ არსებობდა, საქართველოს არც ერთ კუთხეში. და თუ მაინც რევკომის ბეჭედით და ბლანკით სარგებლობდა რომელიმე ჩვენი ამხანაგი და საზღვარგარეთ ლტოლვილ ამხანაგების საბუთის „სიმაგრისთვის" ამ ბეჭედს, ასეთ შემთხვევაში ამ ამხანაგს არა პარტიული საქციელი ჩაუდენია, და თუმცა ჩუტი და უშინაარსო, მარა მენშევიკებისათვის სალეჭი და საცოხნი ცოტა რამ მასალა მიუცია".

ამგვარად კომუნისტებს „არა პარტიული საქციელი ჩაუდენიათ", ეს საქციელი, „კომუნისტის" აზრით „ჩუტი და უშინაარსო" ყოფილა. ასე არბილებს „კომუნისტი" იმ ამხანაგების საქციელს, რომლებიც საქართველოს ჯარში გამხრწნელ აგიტაციას ეწეოდენ და საქართველოზე თავდასხმას ამზადებდენ. ასეთი რბილი მოპყრობა ამ დიდ ბოროტ-მოქმედთა მიმართ იმის მაჩვენებელია, რომ თვით „კომუნისტიც" შორს არ ყოფილა მათ მოქმედების თანაზიარობისაგან.

## ბრიტანეთის მუშ. პარტიის წლიური კონფერენცია
(წერილი ლონდონიდა)
(იხ. „ერთ." №№ 169 171,)

### ირლანდიის საკითხი.

საგარეო პოლიტიკის შემდეგ კონფერენცია შეუდგა შინაური პოლიტიკის განხილვას. შინაური პოლიტიკა უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, არის იგივე საგარეო პოლიტიკა, მაგრამ პოლიტიკა, რომელიც სწარმოებს დიდი ბრიტანეთის ფარგლებში: ესაა შინაური საგარეო პოლიტიკა. იგი ეხება ბრიტანეთის ინდოეთს, ეგვიპტეს, ირლანდიას და სხ.

რასაკვირველია, ამ შინაურ საგარეო პოლიტიკას ბრიტანეთის მუშათა პარტიაში სათანადო ადგილი უჭირავს, რადგან ეს პოლიტიკა არის არა მარტო სახელმწიფოს დღევანდელი მართვა-გამგეობის ღერძი, არამედ-პოლიტიკის ხაზი, რომელთანაც თავისი დამოკიდებულება უნდა გამოარკვიოს მუშათა პარტიამაც.

მუშათა პარტია, ცხადია, არის დაინტერესებული ინდოეთის, ეგვიპტის, ირლანდიის ბედით, რადგან ამ ქვეყნების დღევანდელი მდგომარეობა და კავშირი ინგლისთან, შეერთებულ სამეფოსთან, არის რგოლი, რომელიც ასრულებს და ჰკრავს იმ ჯაჭვს, რომელიც წარმოადგენს მთელ დიდი ბრიტანეთს, მის წესწყობილებას და პოლიტიკას.

საშინაო-საგარეო პოლიტიკის პირველი უდიდესი საკითხია: ირლანდიის საკითხი.

მკითხველებს არა ერთხელ წაუკითხავთ გაზეთებში ირლანდიის ჰომრულის შესახებ; არა ერთხელ სმენია მათ ირლანდიის აჯანყების შესახებ; არა ერთხელ გაუგონია, რომ ირლანდიის ჰომრულის ბილი დაუმარხავთ დიდი ბრიტანეთის პარლამენტში. კარგათ ემახსოვრება ისიც, რომ ომის დასაწყისში ირლანდიაში დიდი აჯანყება მოხდა,—რომელიც ცეცხლითა და მახვილით იქნა ჩაქრობილი. მაგრამ ირლანდია და მისი დღევანდელი ხელმძღვანელი ნაციონალური პარტია—სინ-ფეინი, არ დრკება და მეტის თავგამოდებით ეწევა ბრძოლას განთავისუფლებისათვის. სინ-ფეინი მოითხოვს ირლანდიის რესპუბლიკას და ამის გარშემო აწარმოებს ბრძოლას. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. სამ თვეზე მეტია რაც მცირე ამბოხებები ხდება ირლანდიაში—მაგრამ ამ თვეში აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო, ბრძოლა ისეთი სასტიკი შეიქნა, რომ ინგლისმა ჯარები გაგზავნა და დუბლინის, დერბის ქუჩებზე დღეს სისხლი იღვრება. როგორც მკითხველი ხედავს, ირლანდიის საკითხი მწვავეთაა დასმული და მოითხოვს გადაწყვეტას. საკითხის გადაწყვეტას ყველა ერთი თვალსაზრისით არ უცქერის. კონსერვატორები გადაჭრით არიან წინააღმდეგნი ირლანდიის დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკისა. ლიბერალები უარს არ ამბობენ ირლანდიის თვითმართველობაზე,—მაგრამ თვითმართველობა ირლანდიას არ აკმაყოფილებს. ცხადია, ასეთ დიდ საკითხს გვერდს ვერ აუხვევს ვერც მუშათა მასსა, რომელიც არა ნაკლებ არის დაკავშირებული ირლანდიასთან და დაინტერესებულია მისი ბედით.

მდგომარე თვეში, დიდი ბრძოლის დაწყების წინ, როდესაც ინგლისის მთავრობას ჯარი უნდა გადაეყვანა ირლანდიაში,—მუშათა პრესაში დიდი და ცხარე აგიტაცია დაიწყო: მოითხოვდენ, რომ მუშებს ჯარი არ გადაეყვანათ და ამუნიცია არ გადაეზიდათ,—და ეს მოთხოვნილებები რამოდენიმეთ განხორციელდა.

დღეს საკითხი უფრო მწვავეთ სდგას, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით: ირლანდიაში ინგლისის მთავრობის ჯარსა და სინ-ფეინების შორის სისხლი იღვრება, ამ უკანასკნელი ორი დღის შეტაკებაში მოკლულია 20, დაჭრილია 80. ეს საკითხი ყველას აღელვებს და გაზეთებიც ირლანდიის ამბებს დიდ ადგილს უთმობენ. ცხადია, მუშათა პარტიის კონფერენციას არ შეეძლო თავისი აზრი არ გამოეთქვა ამ საჭირ-ბოროტო სადღეისო საკითხის შესახებ.

24 ივნისის სხდომაზე დაისვა ირლანდიის საკითხი.

პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა წარმოადგინა რეზოლიუცია, რომელიც თხოულობს ირლანდიისათვის დემოკრატიულ საფუძველზე აბსოლიუტურ თვითგამორკვევის აღიარებას. რეზოლიუცია მოითხოვს მთავრობისგან: მოწვეულ იქნეს ირლანდიის დამფუძნებელი კრება მთელი ირლანდიისათვის. რეზოლიუცია თხოულობს ეხლავე, დაუყონებლივ შეწყვეტილ იქნას ბრძოლა ირლანდიაში და დაბრუნებულ იქნეს უკან ჯარი. გაიმართა ცხარე კამათი. **ხიდნეი ვები** მხარს უჭერს რეზოლიუციას და ამბობს, რომ: „ის, რაც ხდება დღეს ირლანდიაში, შესაძლებელია ხვალ მოხდეს ინგლისში. საკითხის ერთად ერთი გადაწყვეტა შეიძლება მით, რომ უნდა შეეკითხონ ირლანდიას, თუ რა სურს მას, და რაც სურს, ის უნდა მიეცეს. მრავალნაირი არის ჰომრული, თვითმართველობა, მაგრამ ირლანდია უნდა იყოს თავისუფალი აირჩიოს მართველობის ის ფორმა, რომელიც მას მოუხდება და ამის შემდეგ შეიქმნას დამოკიდებულება ინგლისთან თავის საზოგადოებრივ საქმეების მიხედვით.

**ჯ. ჰატსონის** აზრით არაა აუცილებელი აქ განვამტკიცოთ თვითგამორკვევის პრინციპი.

**ემონის** აზრით, საჭიროა ირლანდია სასესებით თავისუფალი იყოს აამოირჩიოს როგორიც სურს, ისეთი ჰომრული, თვითმართველობა ან ირლანდიის რესპუბლიკა.

რატომ რესპუბლიკა? გაისმის კრებაზე.

**ჯ. უოკერი** ხსნის ფრჩხილებს და პირდაპირ აცხადებს, რომ სინ-ფეინებს და ირლანდიის მუშათა პარტიას სურს რესპუბლიკა და სრული გამოყოფა, სეპარაცია.

**უოკერი** მომხრეა ირლანდიამ მიიღოს რესპუბლიკა, მაგრამ იგი უნდა დარჩეს ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში. უოკერი აცხადებს, რომ მუშათა პარტია მზათაა მისცეს ირლანდიას თვითგამორკვევა ბრიტანეთში, მაგრამ ხმას არ მისცემს სეპარაციას.

**რ. დევისი** ამბობს, რომ ირლანდიის ხალხის უმეტესობას სურს რესპუბლიკა. (გაისმის ხმები: „არა! არა"!).

კამათი ამ საინტერესო საკითხის შესახებ, რომლის გადაწყვეტა ახასიათებს ბრიტანეთის მუშათა პარტიის პოლიტიკას, კარგა ხანს გაგრძელდა, რის შემდეგ პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა წარმოადგინა შესწორებული რეზოლიუცია: კონფერენცია ერთხმად მოითხოვს, რომ მთავრობამ ირლანდიაში პროპორციანალური არჩევნების საფუძველზე მოახდინოს დამფუძნებელი კრების არჩევნები და გამოიწვიოს უკან იქ მყოფი საოკუპაციო ჯარები. ასე რომ, საკითხი ირლანდიის მართველობის ფორმის შესახებ ღიად დარჩა. თუმცა უოკერი მოითხოვდა, რომ რეზოლიუციას დამატებოდა ის შესწორება, რომლითაც ირლანდია მომავალში, რა ფორმაც უნდა მიიღოს, დარჩეს ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებშიო.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ბრიტანეთის მუშათა პარტიის ერთი ლიდერთაგანის—**ჯ. თომას** პოზიცია ამ საკითხის შესახებ. მან, სხვათა შორის, განაცხადა: „ამგვარი საკითხი არასოდეს სამხედრო მეთოდით არ უნდა გადაიჭრას, დეე მოხდეს ზავი მკვლელთა შორის, ზავი სამოქალაქო ომში, დეე ინგლისის და ირლანდიის მუშებმა გამონახონ საკითხის გადაწყვეტა". შემდეგ მან განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს შესწორებას და აღნიშნავს, რომ მუშათა მოძრაობა არ უნდა დაეთანხმოს ირლანდიის რესპუბლიკის დაარსებას.

შემდეგ კენჭი ეყარა შესწორებას, რომელიც შეიცავს მოთხოვნილებას, რომ ირლანდია დარჩეს ბრიტანეთის ფარგლებში. შესწორება უარყოფილი იქნა 1.191,000 ხმით 945.000 ხმის*) წინააღმდეგ და რეზოლიუცია, რომელიც წარმოდგენილი იყო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა. რეზოლიუცია კი მოითხოვს ირლანდიისათვის დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელიც გადასწყვეტს ირლანდიის ბედს და მოითხოვს დღესვე ირლანდიიდან სამხედრო ძალების უკან დაბრუნებას და სისხლის ღვრის შეწყვეტას.

### ინდოეთის საკითხი.

შემდეგი დიდი საკითხი, რომელიც კონფერენციამ განიხილა, იყო საკითხი ინდოეთის, ბირმის, ცეილონის და საერთოდ ბრიტანეთის იმპერიის სხვა ნაწილების, მათი დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის და მომავალ ბედის შესახებ.

მკითხველს, ალბათ, მოეხსენება, რომ ამ უკანასკნელ ხანში ინდოეთში დიდი ნაციონალური მოძრაობა დაიწყო.

დღევანდელი ინდოეთის მართველობა, რომელშიაც ადგილობრივ ხალხს მონაწილეობა არა აქვს, არ აკმაყოფილებს ინდოეთის მოწინავე პირებს და მოითხოვენ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ ნიადაგზე ინდოეთში დიდი აგიტაცია სწარმოებს, რასაც წინ ეღობება დღეს ინდოეთის ბრიტანეთის მართველობა. იყო შემთხვევანი, როდესაც ხალხს შეტაკება მოუხდა ბრიტანეთის ჯარის ნაწილებთან,—და ამ ბრძოლაში თავი „ისახელეს" ბრიტანეთის გენერლებმა (რისორეი, არმიტსარი და სხ.)—მრავალი უდანაშაულო ხალხი შეიქნა მსხვერპლი ამ გენერლების უგუნურ პოლიტიკისა, და ამას დიდი აღშფოთება გამოიწვია, არა მარტო სოციალისტურ წრეებში, არამედ—ლიბერალებშიაც კი... სოციალისტური პრესა დაჟინებით მოთხოვდა საქმის სასტიკ გამოძიებას და ველურ გენერლების დასჯას,—ამასთან ერთად, ფართოდ დაისვა ინდოეთის პოლიტიკური მდგომარეობის საკითხი საერთოდ და მის გამორკვევას გვერდი არ აუხვია არც ბრიტანეთის მუშათა პარტიის კონფერენციამ.

**ბენ-სპურმა** მოახსენა კონფერენციას ინდოეთის და სხვათა მდგომარეობა, აღწერა უკანასკნელი ამბები, შეტაკებანი ხალხთან და მოითხოვა, რომ ყოველგვარი რეპრესიული ზომები უარყოფილ იქნეს; იგი ამტყუნებდა მთავრობას სწორეთ რეპრესიულ ზომების მიღებაში და დასასრულ სთქვა: „ჩვენ ახლა დიდ საფრთხეში ვართ, ინდოეთის დაკარგვას უნდა მოველოდეთ" და მოითხოვა ინდოეთთან დამოკიდებულების გამოსწორება.

**ბლიზრდმა** მოითხოვა დანაშავე გენერლების დასჯა.

**რამზეი მაკდონალდი** მთელი სისასტიკით ესხმოდა მთავრობას, ამტკიცებდა მისი პოლიტიკის შეცდომას და მოითხოვდა ამ შეცდომის ჩამდენთა პასუხისგებაში მიცემას. ამ საკითხის შესახებ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვენ ხალხის დამხვრეტ დამნაშავე გენერლების დასჯას და ინდოეთის საქმის მოწესრიგებას თვითგამორკვევის ნიადაგზე. კრება რეზოლიუციას დიდი ტაშის კვრით შეხვდა. ინდოეთის ნაციონალური კონგრესის წარმომადგენელმა **უადიამ**, რომელიც ამ კონფერენციას დაესწრო, მადლობა გადაუხადა კონფერენციას და

*) თითო დელეგატი გამოხატავს იმდენ ხმას, რამდენიც მის რაიონში წევრია.

## დღეს

ლოიდ ჯორჯმა ქვედა პალატაში წაიკითხა ტექსტი იმ პასუხისა, რომელიც საბჭოთა რუსეთს გაეგზავნა და აღნიშნა, რომ ამ საკითხში ინგლისი შეთანხმებულია საფრანგეთ იტალიასთანო.

ფრანგული ცნობით ბალშევიკები დასთანხმდნენ ინგლისის მიერ წაყენებულ პირობებში მოლაპარაკებაზე. ნაცვლად ლონდონისა, მოლაპარაკება გაიმართება ბრესტ-ლიტოვსკში.

ჯიოლიტი აცხადებს, რომ იტალია საფრანგეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას არ აწარმოებსო.

ოსმალეთის დელეგაცია საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერათ პარიზში ჩავიდა.

გერმანიის რეიხსტაგმა გააუქმა სავალდებულო სამხედრო ბეგარა და სამხედრო სასამართლოები.

ორი კვირის შეჩერების შემდეგ დაიწყო საზავო მოლაპარაკება რუსეთსა და ფინეთს შორის.

---

სთქვა: ინდოეთი ამას არასოდეს არ დაივიწყებსო.

**ეგვიპტეს საკითხი.**

შემდეგი საკითხი იყო ეგვიპტეს მდგომარეობა. მოხსენება ამ საკითხის შესახებ გააკეთა **ჯორჯ ლანსბერმა**, რომელმაც განაცხადა, რომ ეგვიპტეს ოკუპაცია ბრიტანეთის მიერ, მოხდა იმ ობლიგაციების პატრონების კარნახით, რომელთაც აინტერესებთ მარტო თავიანთ ჯიბე. მან სთქვა: „ეგვიპტელებს აქვთ უფლება აჯანყდნენ და ჩვენ სიმპატიით უნდა მოვეპყრათ მათო“. მიუხედავათ იმისა, რომ იგი არ ფიქრობს, რომ მთელი მსოფლიო უნდა განიყოს ცალკე სეპარატიულ ნაციონალურ ნაწილებათ და ჩამოშორდნენ ერთმანეთს, იგი ამტკიცებს, რომ თვითეული ნაციის თავისუფლება განსაზღვრავს დანარჩენ სხვების თავისუფლებას. ყველა დიდ იმპერიას წარსულში მრავალი ნაცია ჰყავდა თავის ფარგლებში გამომწყვდეული, მხოლოთ ძალადობით. „ჩვენ არ გვჭირდება იმის მტკიცება,—განაგრძობს იგი,—რომ რასას, ფერს, რელიგიას არა აქვს ჩვენთვის განსხვავება, რომ წითელი დროშა მაღლა ფრიალებს რასაზე, ჰუმანიზმზე და მთელ მსოფლიოს ხალხზე. ჩვენ არ გვექნება ბრძოლა არაფრის გარშემო, თუ ჩვენ ვეტყვით სხვას, მეორეს, რომ ჩვენ მზათა ვართ დავეთანხმოთ მათ“.

ლანსბერის სიტყვამ დიდი ოვაცია გამოიწვია.

მის მოტივებს მხარი დაუჭირა **ემენმა** და რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთსულოვნათ; რეზოლიუციას საფუძვლათ ედება ეგვიპტესათვის თვითგამორკვევის უფლება.

ამგვარათ, ბრიტანეთის სხვადასხვა ნაწილების საგარეო პოლიტიკის საკითხზე პარტია ერთსულოვნათ ემყარება უუდიდეს დემოკრატიულ და სოციალისტურ პრინციპს: **თვითგამორკვევას**, რომელიც, უეჭველია, კიდევ უფრო გააუკეთესებს და გაამაგრებს დიდი ბრიტანეთის უზარმაზარ საკავშირო სახელმწიფოს, ფუძეებს.

**ვიქტორ ნოზაძე.**

(დასასრული იქნება)

## დამფუძნებელი კრება

28 ივლისის სხდომა.

**განგრძობა მსჯელობისა 1919—1919 წ. ბიუჯეტის შესახებ.**

**ხ. კედია.** აღნიშნავს, რომ დიდი ნაკლი აქვს წარმოდგენილ ბიუჯეტს; როდესაც შიგ არ შედის ერთი მთავარი უწყება სახელდობრ მომარაგების სამინისტრო. ყოველივე ღონისძიება უნდა ეხმარა საბიუჯეტო კომისიას, რომ მომარაგების სამინისტროს წარმოედგინა ხარჯთ აღრიცხვა. ეს სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში, იქ ჯამაგირები მოხელეებს მეტი აქვთ, ვიდრე სხვადასხვა უწყებებში. მომარაგების სამინისტროს სხვადასხვა ოპერაციებიდან წარმოებული ფული არ შეაქვს ხაზინაში, არამედ თვით ინახავს და ატრიალებს. ორატორის აზრით სახელმწიფოს მილიარდ მანეთამდე ექნება დეფიციტი და არა 796 მილ. რომელიც ნაჩვენებია ბიუჯეტში!

ორატორი აღნიშნავს, რომ თამბაქოს კულტურა თანდათან ეცემა საქართველოში. მას ვერ მოუარეს ისე, როგორც საჭირო იყო, და ამით ჩვენ ქვეყანას აკლდება დიდი შემოსავლის წყარო. ორატორი ეხება მუშათა დათხოვნის საქმეს წარმოების ლიკვიდაციის დროს და აღნიშნავს, რომ ხშირათ მიუხედავათ იმისა, რომ მწარმოებლებს არ ქონდათ მასალა დასამუშავებელი, ყავდათ დიდი შტატი მუშების—ისინი მაინც მოკლებულნი იყვნენ საშუალებას დაეთხოვნათ მუშები. წარმოება იძულებულ ხდება, არჩინოს მუშა, რომელიც არ ქმნის არავითარ ღირებულებას.

იმ დროს, როდესაც ხელფასი მუშის იზრდება, ნაყოფიერება ეცემა, 65% იკლო ინტენსიურობამ. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ნორჩი ვაჭრობა-მრეწველობა ვერ ღებულობდა სათანადო დახმარებას მთავრობიდან. აქციზი საქონელზე დიდი არის ზოგიერთ დარგში, მაგალითათ ერთი და იგივე ხარისხის თამბაქო ჩვენში თუ იბეგრებოდა 100 მან. აზერბეიჯანში ასეთივე თამბაქოს ბანდეროლი ღირდა 16 მან. ზოგიერთ ხარისხის თამბაქოს ბანდეროლი ღირს თვით საქონლის ღირებულების ნახევარი. უცხო კაპიტალი არ შემოვა ჩვენში თუ ცალმხრივი იქნება დაცვა მუშის ინტერესების. საჭიროა ნორმალურ პირობების შექმნა შრომის და კაპიტალს შორის. სიტყვის დასასრულს ორატორი ეხება რა ბორჯომის წყლის ოპერაციას, აღნიშნავს, რომ იმ დროს როდესაც მთავრობას ბოთლი წყლის ჩამოსხმა უჯდებოდა 4 მ. 15 კ. კონტრაგენტს აძლევდა 3 მანეთად ბოთლს. წყალი არ გაიცა საჯარო ვაჭრობით, არ დაესწრო გაცემას დროს კონტროლის წარმომადგენლიო.

**ს. ავალიანი.** (ფინ. მინისტრის ამხანაგი) მეგონა ბიუჯეტის განხილვის დროს მხედველობაში მიიღებდენ იმას, რომ ფინანსთა უწყებამ ამ ერთი წლის წინად წარმოადგინა პროექტი, სადაც ნაჩვენები იყო ჩვენი მომავლის პერსპექტივები. ჩვენ გვეგონა აქ აღნიშნავდენ იმას თუ ბიუჯეტს და იმ პროექტს შორის რა განსხვავება არის, გაამართლა თუ არა ცხოვრებამ ის გეგმები, რომელიც ჩვენ გვქონდა დასახული. თუ ასე მიუდგებოდენ საკითხს დაინახავდენ, რომ ჩვენი იმედები სავსებით გამართლებულია და ის რის შესახებაც ვამბობდით პროექტში, განხორციელდა ბიუჯეტში. ამ ბიუჯეტის განხილვა არ შეიძლება განყენებულათ, მისი განხილვის დროს შეუძლებელია მიღებულ არ იქნას მხედველობაში საერთო პირობები. ჩვენ სახელმწიფოს წინასწარი გამოცდილება არ ჰქონდა, არ შეიძლებოდა ყოველივეს წინასწარ გათვალისწინება და ადვილი ასახსნელიც არის, თუ რომ შეცდომები გვქონდა. ჩვენ ვამბობდით, რომ ქვეყნის კეთილდღეობა გადასახადებზე არ შეიძლება დამყარდეს და თუ ამ გზას ვადგივართ ეს აიხსნება ობიექტიური პირობებით. ჩვენ ამასთანავე ვამბობდით—საჭიროა წარმოების ზოგიერთი დარგები სახელმწიფოს ხელში გადავიდეს, მაგრამ ამასთანავე არ უნდა მოისპოს კერძო საკუთრება და უცხო კაპიტალს გზა უნდა გაუხსნათ. ეს იყო უმთავრესი ჩვენი დებულება, რაც შესრულებულ იქნა. ყოვლად შეუძლებელი არის ჩვენი მდგომარეობა შევადაროთ უცხო სახელმწიფოებს, სადაც ყოველივე გაკეთებულია და საჭიროა მხოლოდ მიმდინარე ხარჯები. მართალია მიუღებელი არის არა პირდაპირი გადასახადი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ობიექტიურ პირობებს დავრწმუნდებით, რომ ამ გარდამავალ ხანაში ერთად ერთი გამოსავალი არის გადასახადები. გადასახადებისაგან შემოსული თანხები, გასავლის ერთ მესამედს ფარავენ. აქ სთქვეს გადასახადებს არ გადაიხდის ხალხი და ზარბაზნების ამუშავება დაგვჭირდებაო. 67 პროცენტი გადასახადის უკვე შემოსულ არის, რაც ნათლად ამტკიცებს მას, რომ ხალხს შეგნებული აქვს თავი მოვალეობა და ასრულებს კიდევაც მას. თუ ავიღებთ სხვა ქვეყნების მაგალითს დავინახავთ, რომ იქაც საგრძნობი ნაწილი გასავლის გადასახადებით იფარება. საფრანგეთი 15 პროცენტს ბიუჯეტისას გადასახადით ფარავს, ინგლისი კი 50 პროც. აქ იძახდენ ბალშევიკებს უნდა მიბაძოთო. ორატორს მოყავს ადესაში ბალშევიკთა ორგანიზაციის დადგენილების ტექსტი სადაც ნათქვამია, გადასახადი მართალია ბოროტებაა, მაგრამ საჭიროა დაუბრუნდეთ მას და ამით თავი დავაღწიოთ გაჭირვებულ მდგომარეობას. აქ სთქვეს ბიუჯეტის დეფიციტი 1 მილ. მანეთს უდრის. 1920 წლის საფრანგეთის ბიუჯეტის 92 მილიარდი დეფიციტი აქვს. ინგლისს 2 ნახ. მილ. რუსეთს 1918 წ. შემოსავალი ჰქონდა 18 მილიარდი, გასავალი 150 მილიარდი. შემდეგ ამისა ორატორი ეხება რა საგარეო ვაჭრობას ციფრებით ამტკიცებს, რომ ობიექტიური პირობები იყო ისეთი, რომ მეტი შემოგვქონდა საქონელი და ნაკლები გაგვქონდაო. ასევე იყო ინგლისში და საფრანგეთში. რასაკვირველია ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომ სახელმწიფო ჩაერიოს წარმოებაში, რასაც მთელი ევროპა დაადგა. მონოპოლია ეს პირველი ნაბიჯი იყო და წარმოებაში ჩარევა და მისი ხელში აღება უნდა მოხდეს თანდათანობით, რადგანაც არ გვყავს საკმარისი მომზადებული ხალხი—სპეციალისტები და არც მიმოსვლა ევროპასთან არის მოგვარებული. ამ ორი წლის განმავლობაში, საქართველო გარშემორტყმული იყო მტრით და ყველაფრის გაკეთება ასეთ დროს შეუძლებელ იყო. აქ გვირჩევდენ მოვახდინოთ ქარხნების სოციალიზაცია, მოვსპოთ ბურჟუაზია. იმ სახელმწიფოში, რომელსაც ოპოზიციის ორატორები ეტმასნებიან, მოსპეს ბურჟუაზია, რომელიც სხვა კუთხიდან მოევლინათ შემდეგში. თუ წინათ რუსეთში ქალაქი აწვდიდა საწარმოო ნივთებს სოფელს, ახლა უკუღმა არის. სოფელში გაჩნდა ის ბურჟუაზია, რომლის მოსპობაც განიზრახეს ბალშევიკებმა. წარმოების და მეურნეობის გაძლიერებას დიდი დრო დასჭირდება, მას ნიადაგი უნდა მომზადებული ჰქონდეს და ამიტომ დღეს სოციალიზაციის გზას ვერ დავადგებით. (ტაში).

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

ქვემოდ ჩვენ ვბეჭდავთ ორ პატარა შენიშვნას მოსკოვის კომუნისტურ გაზეთებიდან. ორივე შენიშვნა მიმართულია პოლონელების წინააღმდეგ იმის გამო, თითქოს მათ ეკლესიები დაანგრიეს და საერთოდ სარწმუნოებრივ სფეროში კათოლიკები ძალდატანებას ახდენენ მართლმადიდებლებზე. ამ შენიშვნებში ბალშევიკები გამოდიან მართლმადიდებლების დამცველებათ ანუ ალბათ, ისინი იცავენ სინდისის თავისუფლებას. ბალშევიზმი და სინდისის თავისუფლება, ან ბალშევიზმი და მართლმადიდებლობა—ვისაც გაეგება ამ ახლხის შინაარსი, რა თქმა უნდა, ამ სიტყვების გაგონებაზე გაეცინება.

მაგრამ ბალშევიკებმა იციან რასაც აკეთებენ. სარწმუნოებრივი სიმების აჟღარუნებით მათ სურთ რუსი გლეხობის დარაზმვა პოლონეთის წინააღმდეგ და ამას ეძახიან ისინი კლასიურ ბრძოლას... ბრძოლის ყოველგვარი იარაღი ბალშევიკების ხელში გამოსადეგია!

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, თვით ფაქტი ვლადიმირის სობოროს აფეთქების შესახებ მართალი არ არის. ამის შესახებ გუშინდელ ჩვენს გაზეთში უკვე იყო ცნობა დაბეჭდილი...

ბალშევიკები, აბა, ფაქტებს რას დაგიდევენ,.

**ვლადიმერის სობორო.** ამ სათაურით გაზეთ „ბედნოტაში“ მოთავსებულია წერილი, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ პოლონელებმა კიევიდან უკან დახევის დროს ააფეთქეს შესანიშნავი ნაწარმოები ხელოვნებისა—ვლადიმირის სობორო, სწერს: და ჩვენ ვეკითხებით ყველა მორწმუნე პირებს: „განა კომუნისტები, რომლებსაც ეძახიან „ულმერთოებს“, სარწმუნოების შემგინებელთ და ბევრ სხვა რამეს, განა იმათ ძალათ გაანადგურეს როდისმე ერთი ეკლესია მაინც, კირკა, მეჩეთი? არც ერთი ამნაირი შემთხვევა არ ყოფილა მაგრამ აი პოლონელი, ინგლისელი, ფრანგი და ყველა სხვა ბურჟუები—ქრისტიანები, რომლებსაც სწამთ ღმერთი და რომლებიც იცავენ ეკლესიას, სარწმუნოებას, ლოიდჯორჯი, რომელიც კვეხულობს თავი სათნოებით, აფეთქებენ ეკლესიებს. საბჭოთა, კომუნისტური, „აზიური“, „ველური“, „ულმერთო“, მთავრობა ხარჯავს მილიონებს ეკლესიების, როგორც ძველი დროის ძეგლების, დასაცავათ; „სათნო“, „ქრისტიანი“ „კულტურული“ მთავრობები კი ხარჯავენ მილიონებს ეკლესიების, წყალსადენების, ელექტრონის სადგურების ასაფეთქებლათ. ყველა სინდისიერათ მოაზროვნე პირნო! ნუ თუ ყველა ეს ყოველგვარ სიტყვებზედ მჭერმეტყველურათ არ ლაპარაკობს საბჭოთა მთავრობის სასარგებლოთ? (ბედნოტა“—№ 652).

**რაზედ ზრუნავენ ისინი!** პანების ზურგში არაკათოლიკე მცხოვრებლები დიდ შევიწროებას განიცდიან სხვადასხვა ძალდატანებისა და რეკვიზიციებისაგან. მართლმადიდებელ ეკლესიის ჩამოსართმევათ საჭიროა 1000 კაცისაგან ხელმოწერილი განცხადება, მაგრამ საეკლესიო ქონებას მაინც ართმევენ, თუ 600 კაცი მოაწერს ხელს. ფრონტის რაიონებში მცხოვრებთა ქონებას სძარცვავენ პოლონეთის ჯარები („ბედნოტა“—№ 656).

**სახელით მუშების, საქმით კომისრების...** კომუნისტების უმაღლესი წრეები ამჟამად საზაფხულოთ ილტვიან დამშეულ და გამტვერიანებულ მოსკოვიდან და თავს აფარებენ პიატიგორსკისა და კისლოვოდსკის კურორტებს. აქვე იყრიან თავს ჩრდილო კავკასიის ეგრეთწოდებული „მოღვაწეები“. ყველა სასტუმროები და სანატორიები სავსეა ასეთი პირებით. ქუჩებში და „კურზალებში“ საღამოობით შეხვდებით მოსეირნე ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილ კომუნისტებს; მათ მხარს უმშვენებენ მდიდრულად მორთული ქალები, ბრჭყვიალა ბრილიანტებით შემკულნი. ძალაუნებურად ეკითხები თავს: სადღა არიან მუშები? რატომ არ მიდიან ისინი საქმით „თავიანთ“ კურორტებში. ამის პასუხს იპოვით საზოგადოთ ჩრდილო კავკასიის გაზეთებში და კერძოთ „კომუნისტ“-ში,—№ 66. აქ, სხვათა შორის, შემდეგი ცინიკური ბრძანებაა მოთავსებული: „შრომისა და თერგის ოლქის „ობრევკომის“ „სობესის“ საოლქო განყოფილება აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ თანახმად კავკასიის მინერალურ წყლების გამგის 15 ივნისის ტელეგრამისა, № 2714 საკურორტო წამლობის უფლების მისაღებათ ავათმყოფები გასინჯული უნდა იქნენ საგუბერნიო და საოლქო „შემმოწმებელ“ კომისიებში, რის შემდეგ მათი ბარათები გაგზავნილ უნდა იქნეს მოსკოვში „ნარკომზდრავ“-ში, რომელიც ბარათებს გაანაწილებს კურორტების მიხედვით. უამისოთ ავათმყოფები მოკლებული იქნება „წამლობას“. დაუსრულებელ კანცელიარულ ვოლოკიტას რომ არ მივაქციოთ ყურადღება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მოსკოვიდან მგზავრები ჩამოსვლას 1 თვე და 17 დღე უნდებიან, უნდა ვიფიქროთ, რომ ვერც ერთი მუშა ამ ზაფხულზე კურორტებს ვერ ეღირსება. მოსკოვში შესამოწმებლათ გაგზავნილი „ბარათები“ გზაში დაიგვიანებენ სწორეთ 3 თვესა და 4 დღეს, ე. ი. მთელი ზაფხულის თვეებს. ასე ზრუნავს „მუშათა და გლეხთა“ მთავრობა თავის მუშებზე. („ვოლ. გორ.“

**გლეხი-ქალები და სუბოტნიკი.** (სოფელი ლენინი, ლუნაჩარსკის გოლოსტისა) ჩვენს სოფელში საზაფხულო მუშაობის დროს ქალებმა, რომლებიც არ მუშაობდნენ მინდვრათ, მოაწყეს პირველი ქალთა „სუბბოტნიკი“. მუშაობდა 50 ქალი, იმუშავეს 14 საათი. შეაკეთეს სოფლის გაფუჭებული ხიდები, გაზაფხულის წყალდიდობით გაფუჭებული გზები, და სხ. („ბედნოტა“ № 654).

გლეხს, რომელიც დღე ღამეში 16 საათს მუშაობს სოფლად თავისი ნებით ბალშევიკები სუბოტნიკით აბედნიერებენ. ხალხი თითონ მუშაობს დღით, ღამით, კვირას, საქმის დღეს—ბალშევიკებს კი იმათთვის შემოაქვს ბეგარა—სუბბოტნიკი. ეს სოფელში! ქალაქში კი რაღაც კვირაში 6 დღე ხალხი უმუშევრად ზის, მეშვიდე დღეს ბალშევიკებს სუბბოტნიკზე გაჰყავს. ფაბრიკა-ქარხნების დანგრევა—უმუშევართა რიცხვის გამრავლება, შემდეგ სუბოტნიკები—ქუჩების გასაწმენდათ!.. ამას ჰქვია ბალშევიკურათ სოციალისტური წარმოების აღორძინება...

**„სოციალიზმი“ და მათხოვრობა.** გაზეთ „ვლასტ სოვეტოვ“-ის 101 ნომერში მოთავსებულია შეკითხვა იმის შესახებ, თუ რათ არ არის აქამდის ცხოვრებაში გატარებული მათხოვრობასთან ბრძოლის რეალური ზომები. ამის საპასუხოდ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მათხოვრობასთან ბრძოლის საკითხზე ყოველთვის ფიქრობდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები. მაგრამ ამ საკითხის რეალური გადაწყვეტა ძალუძს მხოლოდ ხალხთა ცხოვრების იმ წესრიგს, რომელიც ეხლა საბჭოთა რუსეთში ხორციელდება და თუ ქ. სტავროპოლში აქამდის არსებობს მთავრობა, თუ აქ ჯერ კიდევ არ არის დაარსებული ის ორგანო, რომლის შემწეობითაც საბჭოთა რუსეთში ებრძვიან მათხოვრობას და რომელსაც ეწოდება განმანაწილებელი, (ეს არის მათხოვრების განმანაწილებელი პუნქტი, სადაც ჰგზავნიან ყველა მათხოვრობაში შემჩნეულ პირთ) ეს არ არის დამოკიდებული სობესის განყოფილებიდან, არამედ—გამოწვეულია სულ სხვა მიზეზებით. განყოფილებამ უკვე გამოიმუშავა განაწილების პროექტი, მაგრამ ჯერ ჯერობით არ იშოვნება შენობა. განყოფილება უკვე დიდი ხანია შუამდგომლობს შესაფერის შენობის შოვნის შესახებ, და მხოლოდ ამ ბოლო დროს მას ძლივს გადმოსცა შენობა საბინაო განყოფილებამ (წითელი ქუჩა, სახ. № 32) მაგრამ რაკი ამ სახლიდან გადასასახლებელი არიან ბევრი მდგმურები და საბინ. განყოფ. შეხვდა სხვადასხვა დაბრკოლებები, ამიტომ შენობის დაცლა ერთი კვირით დაგვიანდა. როდესაც შენობა მოგვეცემა, მაშინვე დაუყოვნებლივ დაიწყებს თავის მუშაობას განმანაწილებელი პუნქტი, რომელიც დაანაწილებს მათხოვრებს სხვადასხვა შესაფერის დაწესებულებებს შორის. სობესის განყოფილების გამგე: **ფ. პონომარიოვი**,

(„ვლასტ სოვეტოვ“ № 106).

## საბჭოთა რუსეთის ცხოვრებიდან

(პირადი დაკვირვებანი)

როდესაც ვუკვირდები და ვეცნობი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში არსებულ საერთო წესრიგს, ვეცნობი რესპუბლიკის ლაშქრის მდგომარეობას, ყურს ვუგდებ სამეცადინოთ გამოსულ რაზმის უფროსის ზრდილობიანს კეთილ ძმურ განწყობილებას ჯარისკაცისადმი, ვხედავ ცოცხალი, იმედით აღსავსე ჯარისკაცების სახეებს და მშვენიერ ჩაცმა-დახურვას, ვრწმუნდები, რომ მათ ღრმათა აქვთ შეგნებული თავიანთი წმინდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე, რომ ისინი მზათ არიან დაიცვან იგი თავხედ მტრებისაგან. ჯარს უყვარს და პატივსა სცემს თავის მთავრობას, რაც გამოიხატება მთავრობის მიერ ჯარების შესახებ გამოცემულ ბრძანების დაუყონებლივ ასრულებაში.

ნახული ახდენს ჩემზე ღრმა შთაბეჭდილებას და მაგონდება საბჭოთა რუსეთში არსებული საერთო წესრიგი და კერძოთ ჯარის ცხოვრება; ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, თუ სოციალიზმის ქვეყანაში წითელი ჯარისა და, საერთოდ მუშების ცხოვრებაში არ იქნებოდა შეტანილი რაიმე დადებითი ცვლილება: მე ღრმათ მწამდა, რომ რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებაში წილი ექნებოდა წითელ ჯარსაც და საერთოდ მშრომელებს, რომლებზედაც კომუნისტების სიტყვით საბჭოთა მთავრობა ეყრდნობა. მაგრამ თვით ძველი რეჟიმის დროსაც კი წარმოუდგენელი იყო ჯარისკაცებისადმი ისეთი უდიერი მოპყრობა, როგორის მოწმე მე თვითონ ვიყავი საბჭოთა რუსეთში ყოფნის დროს. სურსათ-სანოვაგის მიწოდების მხრივაც ძალიან ცუდს პირობებში იმყოფებიან ჯარის კაცები. ხორცი კვირაში ორჯერ ეძლევათ; დანარჩენ 5 დღეს კი იღებენ მხოლოდ თითო „სელიოტკას“ და გირვანქა შავ პურს. საცხოვრებელი ბინები ჯარისკაცებისათვის მეტის მეტათ ანტიჰიგიენურ პირობებშია. ტანისამოსი და ფეხსაცმელები ზოგს აქვს და ზოგს არა. ყველა დიდ სადგურებზედ ნახავთ ჯარისკაცებს ფეხშიშველს, ტანშიშველს, შიმშილისაგან ღონე მიხდილებს. დამხმარე არავინ არის, თუმცა იქ არსებობს სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტი მაგრამ ამ კომიტეტისგან უზრუნველყოფილს ვერც ერთ ადამიანს ვერ ნახავ. სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჯარში მასიური ხასიათი მიიღო დეზერტირობამ. ჯარის სულიერი განწყობილება დღითი-დღე მწვავდება, ვინაიდან „დისციპლინის მეტის-მეტმა გამტკიცებამ“ იქამდე მიაღწია, რომ ხანდახან სამეცადინოთ გამოყვანილ ჯარისკაცებს უფროსი ლანძღვა-გინებითა და სახეზე ხელის გარტყმით უმასპინძლდება ხოლმე. სხვათა შორის, ამიტომაც არის, რომ გაურბიან როგორც „ბურჟუები“, ისე მუშები ძალათ-მაცხონე „სოციალისტების“ სოციალიზმს.

სხვათა შორის, მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებას: სამოქალაქო ომის დაწყების დღიდანვე მე ვიმყოფებოდი საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. მქონდა საშუალება როგორც მუშას, მუდამ ახლოს ვყოფილიყავი და ზოგიერთ შემთხვევაში, აქტიური მონაწილეობაც მიმეღო სხვადასხვა მუშაობაში. როდესაც წითელი ჯარი უახლოვდებოდა ქალაქს ასაღებათ, ჩვენ მუშები, გაფაციცებით, მოუთმენლად ველოდით: აბა როდის აიღებენ ქალაქს და თავს დავაღწევთ დენიკინელების კლანჭებსო, როდის იქნება თავისუფლათ ამოვისუნთქოთ. მოლოდინი გაგვიმართლდა. საბჭოთა ჯარები ქალაქში შემოიჭრენ; ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა ჩვენი მხსნელების დანახვაზე. მუშები, სხვადასხვა მისასალმებელ სიტყვაში ვუძღვნიდით მათ წრფელი გულით მუშურ სალამს და ქება დიდებით ვიხსენიებდით მათ გმირულ და თავდადებულ ბრძოლას კონტრ-რევოლიუციის შესამუსრავათ ჩვენ ვხედავდით მათში რევოლიუციონურ იდეალებით გატაცებულ უძლეველ ლაშქარს, რომელიც საითაც ეკვეთა, სულ მიწასთან გაასწორა გამოჩენილი რეაქციის მოციქულები—დენიკინი, კოლჩაკი, იუდენიჩი და სხ. ჩვენ გვწამდა, რომ იმ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ შექმნიან პირობებს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ, რომ ყველა მაშვრალთ მიანიჭებენ ბედნიერებას დასტკბენ რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებით. ვაჭრებიც კი უსაზღვრო სიამოვნებას გრძნობდნენ და მუშებთან ერთად იზიარებდნენ საერთო ბედნიერებას.

გავიდა დრო და სურათი გამოიცვალა; ამოძრავდა ყოვლის შემძლებელი „ჩეკა“. ერთ მშვენიერ დღეს ყველა კერძო სავაჭროები დაბეჭდეს, სამუშაო დარგებში შტატები შეამცირეს, ჯამაგირი მუშებს მოუკლეს: აძლევდენ სამჯერ ნაკლებს, ვინემ ღებულობდენ წინათ. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ გამოიწვია ერთი აურ-ზაური, როგორც მუშებში, აგრეთვე ვაჭრებშიაც. მუშებმა მიმართეს თხოვნით რევოლიუციონურ კომიტეტს, რომ აეხსნათ მუშებისათვის მიზეზი ჯამაგირის მოკლების და შტატის შემცირებისა. მუშებს განუცხადეს: თქვენ კარგათ უნდა იცოდეთ, რომ დღეიდან რუსეთის სახელმწიფოში მყარდება სოციალიზმი. სოციალიზმი კი გულისხმობს შემდეგს: ყველა კერძო სავაჭროები, ფაბრიკა-ქარხნები, ერთი სიტყვით, სახელმწიფოს მთელი ქონება—უძრავი თუ მოძრავი, უნდა გამოცხადდეს სახალხო კუთვნილებათ; ამასთანავე რა საკვირველია, მუშების მდგომარეობა ერთიანად გამოიცვლება: ყოველგვარი პირველ საჭიროების საგნებს მიიღებთ საბჭოს დუქნებიდან, გამართავთ სასადილოებს და ყველა მუშებს გექნებათ შეძლება ისადილოთ „ბარათების“ საშუალებითო. რასაკვირველია, ერთი შეხედვით მუშებს მოეწონათ სოციალიზმის ასეთი სურათი. მაგრამ სინამდვილეში ეს დაპირებები ვერ გაამართლეს. სილატაკეში გათანასწორებამ ოდნავათაც ვერ დასდო მუშების წყლულს მალამო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც დღეს რუსეთი წარმოადგენს დავრდომილ, ყოველ მხრივ გაკოტრებულ ქვეყანას და, რა გასაკვირელია, მუშებს თუ ვერ მისცეს ის, რაც თვითონ არ გააჩნიათ კომუნისტებს. იმედ-გაცრუებულმა მუშებმა მოითხოვეს პირობების გაუმჯობესება. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ბარათების სისტემა მუშებისათვის ყოვლად უხერხულია, რადგანაც ზოგს ცოლ-შვილი, ზოგს მოხუცი დედ-მამა ყავს სარჩენი და მუშაობით დაქანცულ მუშას არა აქვს დრო, ბარათით ხელში უცადოს თავის რიგს. ამ სამართლიან მოთხოვნილების გამო ზოგიერთ მოწინავე მუშებს „ჩეკაში“ ამოაყოფინეს თავი, როგორც კონტრ-რევოლიუციონერებს ამან მუშებში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. თავიანთი უკმაყოფილება მათ გამოხატეს სასტიკ პროტესტში, რომელიც გამოცხადებული იყო შემდეგ ქალაქებში: როსტოვში, ეკატერინოდარში და ტაგანროგში.

ვაჭრებმაც მიმართეს თხოვნით სადაც ჯერ არს, რომ გაეგოთ ბედი თავიანთი დაბეჭდილი მაღაზიებისა. მათ უპასუხეს, რომ საქონელის „უჩოტი“ უნდა მოვახდინოთო და შემდეგ იქნება ნება დართული ვაჭრობა ჩვენი კონტროლის ქვეშო. ამ დღის შემდეგ არც ერთ ვაჭარს არ უნახავს თავის საქონელი. ხვდავენ კი, რომ საქონელს სადღაც მიეზიდებიან. ყველაფერი გაძვირდა საზღაპროთ. ბოლო დროს კი ვეღარც ფულით იშოვნიდა კაცი საჭირო საგნებს. გლეხები იმის შიშით, რომ ბაზარში მოტანილ საქონელს ან ცხენს რეკვიზიციას გაუკეთებენ,—აღარ მოქონდათ სხვადასხვა სანოვაგე. ხშირი მოვლენაა, როდესაც ქუჩაში გამვლელთ,—ბაზარში მიმავალთ იჭერენ, მიუხედავათ სქესისა, და აგვევინებენ ქუჩებს ან ეზოს. ერთი სიტყვით, სოციალიზმის მაგიერ—მოგვიტანეს ჯოჯოხეთი; აირია მონასტირი... ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს.

დღეს ყველა მუშები დარწმუნებულნი არიან ბალშევიკების ავანტიურაში, მაგრამ... გვიანღა არის თითზე კბენანი...

**ყოფილი წითელ-არმიელი ვ. დუმბაძე.**

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

**ლონდონი.** ხალხთა ლიგის საბჭოს სხდომაზე, გერმანიის ხალხთა ლიგაში დაშვების საკითხის შესახებ, ლორდ გრეიმ განაცხადა: სპას კონფერენციაზე გერმანიამ არა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. გერმანია აქამდის არ შესდგომია განიარაღებას. იმის მაგივრად, რომ კეთილსინდისიერად შეასრულოს თავის ვალდებულებანი, გერმანია ცდილობს იგი როგორმე თავიდან აიცილოს. ამიტომ გერმანიის ხალხთა ლიგაში შეყვანა შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში, თუ იგი შეასრულებს ხელშეკრულებით მიღებულ ვალდებულებებს.

**კონსტანტინოპოლი.** „ჰოიამ საბახი“ აქვეყნებს ოსმალეთის მთავრობის ოფიციალურ პროტესტს, რომელიც მიმართულია საბერძნეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. ეს პროტესტები გაეგზავნა მოკავშირეებს. ამ პროტესტში სხვათა შორის ნათქვამია: „მოვალეობათ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ დაბრკოლება, რომელიც ამ ჟამად აღმოსავლეთში არსებობს, და რომლის გადალახვა არ შეუძლია არც ოსმალეთს და არც მოკავშირეებს, არის შედეგი ბერძნების მიერ სმირნის ოკუპაციისა. წესრიგის დამყარებისათვის საჭიროა ისეთი ხელშეკრულების დადება, რომელიც იცნობს დამოუკიდებელ ოსმალეთს იმ ტერიტორიაზე, სადაც ოსმალთა მცხოვრებნი უმრავლესობას შეადგენენ.

**პარიჟი.** „ეხო დე პარი“ იუწყება: ბოლშევიკები დასთანხმდენ პოლონელებთან მოლაპარაკების გამართვაზე იმ პირობებში, რომელიც ინგლისმა წაუყენა. მოლაპარაკება ნაცვლად ლონდონისა ბრესტ-ლიტოვსკში გაიმართება.

**პარიზი.** ვილსონმა პოლ დეშანელს მიმართა წერილით. რომელშიაც აღნიშნა, რომ ის ძაფი, რომელიც საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს აერთებს, იმდენად ძლიერია, რომ მისი გაწყვეტა შეუძლებელიაო.

**კონსტანტინოპოლი.** თანახმად ადგილობრივ პრესიდან მიღებულ ცნობებისა, ტრაპიზონში, სამსუნში და სხვა ადგილებში მცხოვრებლებს შეუდგენიათ პარტიზანული რაზმები. ეს რაზმები ქემალისტებს ებრძვიან.

**პარიზი.** საფრანგეთის პრესა იუწყება: რომ ლოიდ ჯორჯმა წინადადება მისცა პოლონეთს—შეკრას რუსეთთან ზავი შემდეგ პირობებში: პოლონეთი ვალდებულია თავისი ჯარები გროდნო-ბრესტ-ლიტოვსკის ხაზიდან ლემბერგის სამხრეთ-აღმოსავლეთით 50 კვ. ვერს. დასწიოს. ამასთანავე პოლონეთი უნდა დაემორჩილოს უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებას და ამ გადაწყვეტილებათა შორის იმ საკითხშიაც, რომელიც დანციგს ეხება. დასასრულ პოლონეთმა დაპყრობით პოლიტიკაზე ხელი უნდა აიღოს. მოლაპარაკება უნდა მოხდეს ლონდონში. აქ გადასწყდება საკითხი არა მარტო პოლონეთს და რუსეთს შორის ზავის ჩამოგდების, არამედ საკითხიც პოლონეთის, ლატვიასა, ფინლიანდიასა და ლიტვის შორის ზავის ჩამოგდების შესახებ. თათბირზე მოწვეული იქნება აღმოსავლეთ გალიციის წარმომადგენელიც. პოლონეთმა ეს პირობები მიიღო.

„ჰუმანიტე-იუწყება, თანახმად მალტიდან მოსულ ცნობების ხმელთა შუა ზღვაში მყოფი ინგლისის ფლოტი, ალბათ ახლო აღმოსავლეთში მოიყრის თავს. პირველ ესკადრის ყველა გემი ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში იმყოფება.

იგივე გაზეთი იუწყება: ამერიკის შრომის კონფედერაციამ თითქმის ერთხმად მიიღო რეზოლიუცია რკინის გზების ნაციონალიზაციისა და მის მართველობაში მუშების მონაწილეობის საკითხის შესახებ.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

2 აგვისტო.

**ფრანგული ცნობები.**

**იტალია და გერმანია.**

„ჟურნალს“ ბერლინიდან დეპეშით აუწყებენ კონფერენციის შესახებ, რომელიც შესდგება სან მარტინოსა და დ-რ სიმონს შორის. ამაში იტალია-გერმანიის დაახლოვების ნიშნებს უცქერენ. მრავალი პარლამენტის მოღვაწე აცხადებს: ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯები გადაიდგაო.

**ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.**

ლოიდ ჯორჯმა ხუთშაბათს ქვემო პალატაში საბჭოთა მთავრობის საპასუხო ტექსტი წაიკითხა და აღნიშნა ამ საკითხში სრული თანხმობა საფრანგეთსა, ინგლისსა და იტალიას შორის. შეკითხვაზე იმის შესახებ, აწვდიდა თუ არა იტალია ოსმალეთის ნაციონალისტებს სამხედრო მასალას, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, ინგლისის მთავრობამ ეხლახან შეიტყო ეს ცნობა და რადგან ეს ცნობა ოსმალურ წყაროებიდან არის, ამიტომ მან ამის შესახებ იტალიის მთავრობას ოფიციალურად აუწყაო.

**ჯიოლიტის განცხადება.**

რომიდან „ეკო-დე-პარი“-ს დეპეშით აუწყებენ: ჯიოლიტი უარყოფს საფრანგეთის საწინააღმდეგო პოლიტიკის წარმოებას.

**ქემალისტების და ბალშევიკების საფრთხე.**

რეკული „ფიგაროში“ სწერს ქემალისტების, სირიისა და ბალშევიკების საფრთხის შესახებ. პირველი დაამარცხა ვენიზელოსმა, მეორე გენერალმა გურომ. ბერძნებმა ცივილიზაციის საქმეს დიდი სამსახური გაუწიეს ოსმალთა ნაციონალისტების დამარცხებით. ამისათვის ჩვენ მათი მადლობელი უნდა ვიყოთ.

**ოსმალეთის დელეგაცია.**

ოსმალეთის დელეგაცია საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერათ პარიზში ჩავიდა.

**ჟორესის მკვლელის წლის თავი.**

ივლისის 31 ჟორესის მკვლელობის ექვსი წლის თავია. ფრანს-ლიბრი სწერს: ჟორესი სოციალიზმის მოციქული შესანიშნავად და მედგრად ემსახურებოდა საფრანგეთსო.

**საბჭოთა რუსეთს არ სურს ზავი.**

თანახმად ფრანგული გაზეთების ცნობებისა, საბჭოთა მთავრობას არ აქვს გულწრფელი სურვილი პოლონეთთან ზავის ჩამოგდებისა. საბჭოთა მთავრობა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გააფართოვოს თავისი გამარჯვება და აიძულოს მოპირდაპირე იარაღი დაყაროს. მართლაც, წითელი ჯარები შეტევას განაგრძობენ. საბჭოთა მთავრობა იუწყება ბელოსტოკის აღებას. ცხენოსანი ჯარი გასცდა ამ ქალაქს. ამჟამად ბოლშევიკების ცხენოსანი ჯარი ვარშავიდან 130 კილომეტრის მანძილზე იმყოფება. მიუხედავათ ამისა პოლონეთის მთავრობა მდგომარეობას არ სთვლის ისეთად, რომლის გამოკეთებაც შეუძლებელი იყოს.

**მდგომარეობა გაუმჯობესდა.**

თანახმად კოპენჰაგენიდან მოსული დეპეშის ცნობით გენერალ გალერს „პოლონეთის კურიერისთვის“ განუცხადებია: საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ფრონტზე მოხალისეები წავიდნენ.

**ოსმალეთში.**

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან

რომ სომხებმა აღმოსავლეთ სომხეთში ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენესო. თათრები იხევენ უკან და რეგვერდახში საუკეთესო პოზიციები დაანგრიეს. მეორე მხრით ინგლისურ წყაროებიდან იუწყებიან, რომ მუსტაფა ქემალმა კონსტანტინოპოლში, ცენტრალურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად დელეგატი გაგზავნაო. დელეგატის გაგზავნის მიზანი არის მოელაპარაკოს ცენტრალურ მთავრობას ნაციონალისტების ჯარის გაშვების შესახებ.

**სავალდებულო სამხედრო ბეგარის გაუქმება.**

გერმანიაში რეიხსტაგმა სავალდებულო სამხედრო ბეგარა და სამხედრო სასამართლოები გააუქმა.

**ოსმალეთის დელეგაცია ვერსალში.**

ოსმალეთის დელეგაცია გაემგზავრა ვერსალში. ხამდი ფაშამ „ევსცელიორში" განაცხადა, რომ დელეგაციას სურს ხელის მოწერა ხელშეკრულებაზე და დამყარება ლოიალურ და მეგობრულ განწყობილებისა ანტანტასთან. რაც შეეხება ტექსტს და ხელშეკრულების ხასიათს, დეპუტატი ამჯობინებს ამაზე დიპლომატიური მოსაზრებით არ ილაპარაკოს.

**მუსტაფა ქემალი და ემირი ფეისალი.**

კონსტანტინოპოლიდან მოსული დეპეშა იუწყება: მუსტაფა ქემალი მოქმედობდა ემირ ფეისალთან ერთად. დამასკის ოკუპაციამ კონსტანტინოპოლში დიდი ინტერესი გამოიწვია. საფრანგეთის დამარცხება გავლენას იქონიებდა ანატოლიის საქმეებზე.

**პოლონეთის საშველად.**

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მილიერანმა განაცხადა: ეხლა უფრო, ვიდრე წინათ, საჭიროა მოკავშირეთა მტკიცე ერთობა პოლონეთის საშველადო.

**პოლონეთის გარშემო.**

ინგლისმა უპასუხა საბჭოთა მთავრობას: პოლონეთისა და მოსაზღვრე ქვეყნების დელეგატებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა განზრახულ კონფერენციაში, რომლის მთავარი მიზანი იქნება მშვიდობიანობის ჩამოგდება პოლონეთის დამოუკიდებლობის ნიადაგზეო.

**გერმანული ცნობები.**

**პოლონეთის ფრონტზე.**

იმ განზრახვით, რომ დროებით ზავის ჩამოგდებამდე ვარშავა აეღოთ რუსეთის კავალერიას ოთხშაბათს (დამახინჯებულია) .. ლიტვა, გროდნოს სიმაგრეს ალყა შემოარტყა, პოლონეთის ჩრდილოეთის ფრონტი გაარღვია, გაემართა სამხრეთისაკენ და აიღო ოსოვეცი და შჩუჩინი. ოსევეცი იმყოფება სამი მილის მანძილზე პრუსიის საზღვრის აღმოსავლეთით. ეს მოულოდნელი გამარჯვება ბუდიონის ყაზახებისა დაადასტურეს იქ დამსწრეებმა, რომლებიც პოლონელების ჯარის ნაწილებში იმყოფებოდენ. ყოველგვარი კავშირი ნაწილებს შორის გაწყვეტილია. პოლონეთის ჯარი გამორბის და ყველაფერს გზაში სტოვებს. ფიქრობენ, რომ ჩრდილოეთის არმია გარს შემორტყმულია და რომ ბალშევიკებს შეუძლიათ დამარცხებულ ნაწილებს თვით ვარშავამდე სდიონ. თუ რუსებმა ოსოვეცი დამხმარე ნაწილების მოსვლამდე შეინარჩუნეს, ისინი მოახდენენ გროდნოს ოკუპაციას და პოლონელები იძულებულნი იქნებიან დაიხიონ ვარშავამდე (ბოლო დამახინჯებულია)... ცხენოსანთა სამი პოლკი ლომჟენის ახლო პარასკევს 2000 პოლონელს გარს შემოერტყა. პოლონელებს სურდათ წრის გარღვევა. რუსი ოფიცრები აცხადებენ, რომ რუსეთის ზავის პირობები ისეთი მძიმეა პოლონელებისათვის, რომ მათ არ შეუძლიათ მისი მიღებაო.

**ტროცკის არ უთქვამს...**

თანახმად მოსკოვიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ რადიოდეპეშებისა ტროცკი უარყოფს, თითქოს მას ეთქვას, რომ პოლონეთი რუსეთს დასავლეთ ევროპასთან შემაერთებელ ხიდათ გამოადგებაო. ტროცკის არას დროს არ უთქვამს, არც ის, თითქოს პოლონეთი უნდა გახდეს ხიდათ რევოლიუციისათვის და არც ის, რომ ანტანტა მომხდარ ფაქტის წინაშე უნდა დავაყენოთო. არაფერი ამის მსგავსი არ თქმულა და ყველაფერი ეს გამოგონილია.

**ბალშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი** 2 აგვ. ლომჟის რაიონში ბრძოლა გრძელდება ბელოსტოკის დასავლეთით, ჩვენ გადავედით მარევზე, მტრის დევნას განვაგრძობთ. ბელსკის დასავლეთით ჩვენი ჯარები გადავიდნენ მდინარე ნურეცზე სხვა და სხვა ადგილას. ბროდსკის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ ბუსკის ჩრდილოეთით წაიწია. ჩერტოვის რაიონში ჩვენ შეტევას განვაგრძობთ.

**საბჭოთა რუსეთი და ფინეთი.**

საზავო მოლაპარაკება ფინეთთან, 2 კვირის შეწყვეტის შემდეგ ივ. 28 განახლდა, შესდგა კონფერენციის სხდომა. ბერზინი ხსნის რა კონფერენციას, აცხადებს: საზავო კონფერენციის მუშაობა შეწყვეტილი იქნა, რადგან ფინეთის დელეგაციამ მიღებული ტერიტორიალური პირობები წარმოადგინა. ის სთხოვს ფინებს შეიტანონ ახალი წინადადებები, რომლებიც მოლაპარაკებას ახალ ნიადაგზე დააყენებს. პაასიკივს მიზან-შეწონილად მიაჩნია ჯერ-ჯერობით დასტოვონ ტერიტორიალური საკითხი და მოლაპარაკება განაგრძონ ეკონომიურ საკითხისა და ფინეთის ყურის შესახებ. ბერზინს მიზანშეწონილად მიაჩნია ფინების მიერ წარმოდგენილი მეთოდი. №: რუსეთის დელეგაციამ მინიმალური მოთხოვნილება წარადგინა, რომლისაგან უკან დახევა არ შეიძლება. ეხლა, რამდენათაც ფინეთის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს პეჩენგის დათმობას, იმდენათ რუსეთის დელეგაცია იძულებული იქნება განსახილველად შეიტანოს კორელიის ყელისა და ალნდის კუნძულების კომპენსაციის საკითხები.

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი.**

**დამოუკიდებელი ირლანდია.**

**ლონდონი**, 25 ივლისი. ირლანდიაში ინგლისის ძალა-უფლება ფაქტიურათ თითქმის აღარ არსებობს. ინგლისის მმართველი წრეები აღიარებენ, რომ მთელი ირლანდია ამ ჟამად რესპუბლიკას წარმოადგენს.

**ამხ. რაკოვსკი საბჭოთა უკრაინის მდგომარეობის შესახებ.**

**ხარკოვი**, 23 ივლისი. უკრაინის კომ. პარტიის საქალაქო ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე ამხ. რაკოვსკიმ გააკეთა მოხსენება, რომლის მთავარი საფუძვლები ასეთია:

უკრაინაში მობილიზაცია მიუხედავათ მძიმე პირობებისა, კარგათ ჩატარდა, რაც მოწმობს მთელ უკრაინაში ჩვენი პოლიტიკურ გავლენის გაძლიერებას. პეტლურას მობილიზაცია კი ვერ იქნა ჩატარებული. ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ დიდი გავლენა გვაქვს მასაში. სასურსათო ორგანიზაციებმა ივნისის დამლევამდე 14,500,000 ფუთი პური მოგვცეს. დონის მხარეში ქვანახშირის დამუშავებას ეტყობა ტენდენცია თვეში 25%-ით გაზრდისაკენ. ტრანსპორტის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. სამხედრო ეშელონები დღეღამეში 400 ვერსტს გადიან. მეურნეობისა და მრეწველობის სხვა დარგებშიაც წინ მივიწევთ. ბანდიტიზმის გავლენა სწრაფათ ეცემა. „გუშინდლიდან—განაცხადა რაკოვსკიმ—ჩვენი საგანგებო რაზმები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა მახნოს ბანდებას წინააღმდეგ."

**ქემალ ფაშას შტაბის სამხედრო ცნობა.**

**ანგორა.** 26 ივლისი. (ოფიციალურათ) დასავლეთის ფრონტი. 24 ივლისს ბრუსას აღმოსავლეთით ჩვენ მზვერავებს შეტაკება მოუხდა ქიურდოსის მიდამოებში, მტერმა დაკარგა 3 კაცი და იძულებული იყო ს. კუზლუ დაეტოვებინა. აღმოსავლეთის ფრონტი. ს. ჩინის სამხრეთ აღმოსავლეთით შეტაკებაში სომეხთა ბრბოებს 3 კაცი მოვუკალით. ნახიჩევანის რაიონში შახტახტის ჩრდილო-დასავლეთით აღზევანთან შეტაკება მოუხდა. სომეხთა ბრბოები თავს ესხმიან მშვიდობიან მაჰმადიან მცხოვრებლებს. ადანის მიმართულებით ფრანგებმა ოსმანიეს და თოფრაკ-კალეს სიმაგრეებს შეაფარეს თავი. აქჩე-კოიუნლუს მტრის სიმაგრეებს ჩვენ ვუშენთ.

**ანგორა.** 26 ივლისი. (ოფიციალური) იზმიდის აღმოსავლეთით ინგლისის ცხენოსანთა რაზმმა და ბერძენთა ერთმა გუნდმა ს. სულაფლარი აიღო. მტერი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ სოფლების ნგრევა დაიწყეს, განაგრძობს თავის უსინდისო საქმეს.

მტრის რაზმმა, რომელიც ს. ხასარასკენ მიიწევს ქ. თემურჯოსკენ დაიხია. ბრუსას აღმოსავლეთით მდგომარეობა უცვლელია. ადანა—ტარსოს-მერსინის რაიონში საარტილერიო ბრძოლა მოხდა. მტრის აეროპლანი, რომელიც ადანაზე დაფრინავდა, ხანჯარის რაიონში სროლით ძირს ჩამოვაგდეთ.

**ბაიაზეთის მთავრობა.**

**ბაიაზეთი.** 26 ივლისი. „განმათავისუფლებელ არმიის" ერთი ბატალიონი ბატარეით და ტყვიისმფრქვეველებით 23 ივლისს, დღის 11 საათზე ბაიაზეთში შევიდა. (აქ ლაპარაკია რუსეთის მაჰმადიანთაგან შემდგარ და მთიელთა დასახმარებლათ მოსულ მწვანე არმიაზე. („ბეჭვდითი ბიურო").

# იტალიის სააგენტოს ცნობა

**ლონდონი.** ინგლისის მთავრობას გადასცეს იტალიის მთავრობის პასუხი მოკავშირეების წინადადებაზე საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ. კომპეტენტურ წრეებში ფიქრობენ, რომ იტალიისა და ინგლისის თვალსაზრისი ერთმანეთს შეესაბამებაო.

**ციურიხი.** მოსკოვიდან იუწყებიან: ჩვენი ჯარი პოლონეთის ტერიტორიაზე წინსვლას განაგრძობს, მოყავს ტყვეები და ხელთ იგდებს სამხედრო მასალას.

**ვარშავა.** მიუხედავად რუს ცხენოსანთა ჯარის ფართე შეტევისა, სამხედრო წრეებში ფიქრობენ, რომ მდგომარეობა უიმედო არ არის და პოლონეთის ფრონტი შეიძლება გაძლიერებული იქნეს.

# ახალი ამბები

**ს. ს. დ. მ. პ. ც. საკანტროლო კომისიის საგანგებო კრება დანიშნულია სამშაბათს, სამ აგვისტოს, საღამოს 6 ს. ვინაიდან ფრიად მნიშვნელოვანი კითხვებია გასარჩევი,—ამხანაგებს ვთხოვთ უეჭველად დაესწრონ. საკანტროლო კომისიის პრეზიდიუმი.**

◆ **დღეს,** საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **მუშათა სასახლეში.** დღეს საღამოს 7 საათზე მეოთხე სართულში ოთახი № 51, დანიშნულია საქ. პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა. სხდომაზე მოწვეული არიან ახლად არჩეული კომიტეტების წევრები: ნ. ბერეჟიანი, პ. კავკასიძე, თოფაძე და გ. კაპანაძე. სხდომაზე უნდა დაესწრონ აგრეთვე რუსეთში მიმავალი მუშათა ყველა დელეგატები: ა, დგებუაძე, ლ. მგელაძე, პ. ბერიშვილი, ვ. ცენტერაძე, დ. გაჩეჩილაძე, შუბაშვილი, ს. კაიტაჯიანი და ტოროტაძე.

◆ **აქსტაფის რაიონში,** მიღებულ ცნობებით ამ უკანასკნელ დღეებში საბჭოთა ჯარების შეჯგუფება დაიწყო. ამ ჯარებიდან ნაწილი შემოიყვანეს ნეიტრალურ ზონაში, რის გამოც გაიზარდა საბჭოთა ჯარების შემადგენლობა აღნიშნულ ზონაში. ამის გამო საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ბაქოში მყოფმა ჩვენმა წარმომადგენელმა ალშიბაიამ პროტესტი განაცხადეს.

◆ **სომხეთის დამოუკიდებლობის სესხზე ხელის მოწერა.** აგვისტოს პირველს საქართველოში მყოფ სომხეთის დიპლომატიურ მისიის ბინაზე სომხეთის დამოუკიდებლობის სესხზე ხელის მოწერა გაიხსნა. სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბეკზადიანმა აუხსნა დამსწრეთ სესხის მიზანი და სომხეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თხოვნით მიმართა გამოეხმაურონ სომხეთის საჭიროებას.

◆ **ერთი თვით დასასვენებლად წავიდა** შინ. საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი. მინისტრის მოვალეობის აღსრულება დაეკისრა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს პ. ქიქინაძეს.

◆ **დოხუბორების შუამდგომლობა.** ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებმა დუხობორებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიტანეს განცხადება, სადაც ნათქვამია: ამ უკანასკნელ ხანებში ახალქალაქის მაზრაში ეწევიან აგიტაციას და ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, თითქოს მოხდა შეთანხმება ახალქალაქის მაზრის სომხეთისადმი გადაცემის შესახებო. დუხობორების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამგვარი ხმები მცხოვრებთ ნერვებს უშლის და საჭიროა ზომების მიღება მომავალში ამგვარი ხმების გავრცელების მოსასპობად.

◆ **ბორჯომში იხსნება სახელმწიფო** სანატორიუმი სახელმწ. და საზ. მოსამსახურეებისათვის. სეზ. 15 ოქტომბრამდეა. დირექტორად დანიშნულია ექ. მ. ზანდუკელი. კონსულტანტათ პროფესორი ალადაშვილი და ასისტენტათ ექ. აბაკელია და შ. მიქელაძე. დაწვრილებით ცნობები დირექტორთან 5—7 ს. ტელ. 9—31, ანასტასიევის ქ. № 3.

◆ **მიმდინარე ანგარიშები.** სახელმწიფო ბანკის მოქმედების პირველ კვირაში მიმდინარე ანგარიშზე შემოვიდა 177 მილ. მანეთი.

**ნიხრი პამიდორსა და კვერცხებზე.** სასურსათო განყოფილებამ დააწესა ნიხრი გირვანქა პამიდორზე 8 მან. და თითო კვერცხზე 6 მან. და 50 კაპ.

◆ **საქონლი ფასები.** სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობით სასურსათო საქონელზე შემდეგი ფასებია: ხორბალი ადგილობრივი ღირს 1850—1900 მან. ფ., სიმინდი—1200 მან. ფ.; ლობიო—800 მან. ფ.; შაქარი რაფინადი—5500 მან. ფ.; ფხვნილი შაქარი—4600 მან. ფ; ფქვილი რუსული 3200 მან. ფ.; ადგილობრივი—1900—2100 მან. ფ.; სიმინდის ფქვილი 1500 მან. ფ; ერბო—9600 მან.; კარაქი—800 მან. ფ.; ყველი გირ. 90 მან., ერთი კვერცხი 10 მან.

X ◆ **ყოფილი „ოხრანნიკი".** თფილისის „ოხრანკის" აგენტების სიაში ირიცხებოდა ვინმე სერგი ალექსანდრეს ძე ნადირაძე. როგორც გადმოგვცეს, ეს ვაჟბატონი დღესაც რესპუბლიკის ერთ-ერთ დაწესებულებაში შემძვრალა: იგი ირიცხება სამხ.-საოლქო სასამართლოს მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად.

◆ **ლტოლვილი სომხები.** 31 ივლის სომხების ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ერზინკიანმა ინახულა შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც მიმართა თხოვნით ლტოლვილ-სომხების საქართველოს სამხედრო გზით სომხეთში გაშვების შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა.

◆ **ახალი რადიო-სადგური.** საინჟინერო-სატეხნიკო სამმართველოდან იუწყებიან: დასრულებულია წინასწარი მოლაპარაკება ტფილისში ახალ ძლიერ რადიო-სადგურის მოწყობის შესახებ. ეს რადიო-სადგური მოეწყობა ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმად. ამ სადგურს კავშირი ექნება საქართველოსა დ ევროპის უდიდეს რადიოსადგურებთან.

◆ **საავიაციო დღესასწაული,** რომელიც აგვისტოს 2-ისათვის იყო დანიშნული შემდეგი დროსათვის გადასდეს.

◆ **ბრძოლა ეპიდემიასთან.** მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს მიანდო დასკვნის გაკეთება იმ თანხის საკითხის შესახებ, რომელიც ეპიდემიასთან საბრძოლველად უნდა გადაიდვას.

◆ **დატუსაღებულთა ულუფის გადიდება.** იუსტიციის სამინისტრომ ცირკულიარით შეატყობინა ყველა სატუსაღოების უფროსებს, რომ პატიმართ პურის ულუფა გაუდიდონ $1\frac{1}{2}$ გირვანქიდან 2 გირვანქამდე.

**კრებები.**

— ხუთშაბათს, 5 აგვისტოს, საღამოს 5 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში დანიშნულია ს. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის საზოგადო პარტული კრება.

— ხუთშაბათს, 5 ივლისს, შესდგება ჩვეულებრივი სხდომა მე-7 რაიონულ კოლექტივისა. დასწრება ყველა წევრებისთვის სავალდებულოა.

# სომხეთში.

**ერევანი.** ივლ. 31. სომხეთის ჯარმა სოფელი პაისი აიღო. კივრაგის მაღლობებზე მომხდარ ბრძოლის დროს ხელთ იგდო ორი ტყვის მფრქვეველი. სომხეთის ჯარების მთავარ-სარდალთან თათრები ჯგუფ-ჯგუფად მიდიან და მორჩილებას აცხადებენ.

სომხეთის ჯარები ნახიჩევანს უახლოვდებიან. ივლისის 30 ისინი ქალაქიდან 12 ვერსზე იდგენ.

სოჭის ოლქიდან სომხეთის მთავრობას აუწყებენ ბოლშევიკების მიერ სომხების დევნის შესახებ.

ადგილობრივი პრესის ცნობით რევოლიუციონური შტაბი, რომელიც წინეთ ყაზახში იყო, განჯაში გადაიტანეს.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ კისკინზადე შავშეთში გადასულა. მან მოლაპარაკება გამართა ბალშევიკებთან. ამ ჟამად იგი ქემალისტებთან ბალშევიკების წარმომადგელად ითვლება.

**ერევანი.** სომხეთის მთავრობამ მოსკოვში მყოფ სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარეს დეპეშით აცნობა: შესწყვიტოს საზავო მოლაპარაკება და იგი ერევანში გადმოიტანოს. შემდეგში მოლაპარაკების წარმოება საბჭოთა მთავრობასთან ევალება იმავე დელეგაციას რომლის თავმჯდომარეთ ლეო შანტი არის. სომხეთის მთავრობა წინადადებას აძლევს დელეგაციას დაუყონებლივ დაბრუნდეს ერევანში.

**ერევანი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოგანჯანიანმა დაშნაკციუტუნის პარტიის ცენტ. კომიტეტში მოხსენება გააკეთა, მან განაცხადა, რომ სომხეთისათვის ყველაზე საჭირ-ბოროტო საკითხია—პური. 1 აგვისტ. ამერიკის დახმარება შესწყდება, მაგრამ ამერიკა კიდევ მოგვაწვდის პურს 15 დღის განმავლობაში. მიმდინარე წელს სომხეთში დათესილია 1 მილიონი ფ. ხორბალი. მოსავალს მოველით 8—10 მილ. ფუთს იმ დროს, როდესაც მცხოვრებლებისათვის საჭიროა 15 მილიონამდე. ამგვარად უნდა მივიღოთ ზომები გარედან ხუთი მილიონ ფუთი პურის შესაძენათ.. მაგრამ არა ოფიციალური ცნობების თანახმად საერთაშორისო სასურსათო კომისიის მიერ სომხეთისათვის 42.000 ტონი პურია დანიშნული, რომლის მოწოდება პოლიტიკური მიზეზების გამო შეჩერდა. დაუკმაყოფილებელ მდგომარეობაშია აგრეთვე ფინანსიური საკითხიც. სომხეთის ჩეკის კურსი, საქონლის გაუტანლობის გამო, დაეცა. მრეწველობა სრულებით არ არის. ბოლშევიკების შემოტევამდე კაპიტალისტები წარმოების აღორძინების წინადადებას იძლეოდენ, მაგრამ ეხლა ეს წინადადებები შესწყდა. უფრო მტკიცე მდგომარეობაშია სომხეთის ჯარი, რომელმაც ხელთ იგდო აჯანყების ბუდე-ზეუკბედი და „ვილნი ვოროტა". დღემდის ადერბეიჯანთან ვერ დავამყარეთ მშვიდობიანი დამოკიდებულება. გარეგნულად საბჭოს, და ნამდვილად კი მუსავატების, ადერბეიჯანს მტრული პოზიცია უჭირავს სომხეთის მიმართ. სომხეთი მაინც იღებს ზომებს ადერბეიჯანთან შესათანხმებლად. დასასრულ ოგანჯანიანმა აღნიშნა ბათომის საქართველოზე გადმოცემის ფართო მნიშვნელობა, რადგან ამით შესაძლებელია, რომ სომხეთს ზღვისაკენ თავისუფალი გასავალი მიეცესო. (სდს).

# ბათომი

**ბათომი.** აგვ. 1. ბათომის ოლქის საგანგებო კომისრის კანცელარიაში ქვემო აჭარიდან ცნობა მოვიდა, რომ ხარფის და მაკრიალის მცხოვრებლები თანაგრძნობით შეხვდნენ საქართველოს მოწინავე რაზმებსო.

აქ მოსული ცნობებით ყირიმში და განსაკუთრებით ქერჩის რაიონში გვალვაა. პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია. ახალი მოსავლის პური ღირს 10 ფუთი—35,000 მ., ფქვილი კი—5000 მან. გირვანქა პური—120 მან.

**ბათომი.** (საქ. კორ.) სარწმუნო ცნობებით აგვისტოში მოელიან ქაღალდის დიდ ტრანსპორტს. ქაღალდი საქართველოს დიდ ფირმების მისამართით არის გამოგზავნილი. ამ ქაღალდის საწყობები მოწყობილი იქნება ბათომსა და ფოთში.

ადლერიდან იუწყებიან: ნაპირებთან ბალშევიკების მოტორი „ლევი" დარაჯობს და იჭერს ყველა ნავს—მოტორს, რომელიც კი ახლო გაივლის. ასეთი ზომით სურთ სოჭიდან ნოვოროსიისკში გადასაზიდავ საშუალებათა გაძლიერება.

კერასუნდიდგან მოსული ცნობით კერასუნდ-ოდნის რაიონში გაძლიერებულია ყაჩაღობა. კონსტანტინეპოლიდან მოსული ცნობით ვენიზელოსმა განაცხადა ოსმალეთში სომხებისა და ბერძნების დამოკიდებულობის გამოცხადების შესახებ. ბერძნულ ავტონომიურ პროვინციაში მთავარ ქალაქად იქნება ტრაპიზონი, რომლის ნავთსადგურით ისარგებლებს სომხეთი.

იმავე ცნობის თანახმად დარდანელი სრულიად გაწმენდილია ოსმალთა ჯარებისაგან.

ყირიმიდან იუწყებიან მელიტოპოლის რაიონში ვრანგელის ჯარის შეტევის განვითარების შესახებ. აზოვის ზღვის მიდამოებში, ნოვონიკოლაევსკში, ჯარი გადმოსხეს. ნოვონიკოლაევსკის დაჭერის წინ ყაზახთა ერთი ნაწილი ვრანგელის მხარეზე გადავიდა. ივლ. 22 ვრანგელის ჯარი მელიტოპოლიდან ალექსანდროვისაკენ 100 ვერსზე იმყოფებოდა. (სდს)

# სასურსათო საქმეები

**მუშათა მაგიდის მიერ პურის ოპერაციის მოწესრიგება.** ა. რუხაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი მუშათა მაგიდის პურის ოპერაციის მოწესრიგების საკითხის შესახებ. თათბირში მიიღეს მონაწილეობა: შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდის გამგემ, შრომის სამინისტროს მთავარმა კონტროლიორმა და ტეხნიკურ ზედამხედველობის და წისქვილების გამგემ. თათბირმა შემდეგი დადგენილება მიიღო: 1) მოწესრიგდეს ხორბლისა და ფქვილის წისქვილებში და ფურნეებში თავის დროზე მიტანა: ამისათვის ქალაქის „ობოზიდან" უნდა გამოიყოს ერთი ნაწილი, რომელიც ხორბალსა და ფქვილს გადაიტანს; 2) მდინარეებზე მყოფი კერძო წისქვილები დაიყოს ჯგუფებად. ჯგუფში შევა 5 წისქვილი. ყოველ ჯგუფს უნდა დაევალოს დაუფქვას მხოლოდ ქალაქის ხორბალი; 3) ვინაიდან მდინარეზე მყოფ წისქვილების ნაყოფიერება ძლიერ მცირეა, ამიტომ მათ პატრონებს უნდა მიეცეს დახმარება წისქვილების შესაკეთებლად. ამ მიზნისათვის მათ მიეცემა საჭირო მასალა; 4) დროებით უნდა დაწესდეს ყოველკვირეული ხორბლის გასავალი, რომელიც 7.270 ფუთს არ უნდა აღემატოს; 5) პურის გამოცხობის შეჩერების თავიდან ასაშორებლად ყოველ ფურნეში უნდა იყოს არა ნაკლებ 3.000 ფუთი ფქვილის ზედმეტი მომარაგება. ფურნეებში უნდა გააცხონ ცხელი პური; 6) რომ წისქვილებს დასაფქველად უვარგისი ფქვილი არ მიაწოდონ, ამიტომ მომარაგების სამინისტროს საწყობების გამგეებს უნდა აეკრძალოთ უვარგისი ხორბლის მიღება და გაცემა. უნდა გაძლიერდეს ტეხნიკური ზედამხედველობა იმ მიზნით, რომ წისქვილებში ხორბალი არ გაფუჭდეს.

**ხორბლის შესყიდვა და გამოტანა.** ივლისის 29 მომარაგების სამინისტროსთან ერობისა და თფილისის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად შესდგა თათბირი ბორჩალოს, დუშეთის და თელავის მაზრებიდან ხორბლის გამოტანის წესის გადასინჯვის შესახებ. თათბირმა დაადგინა: უფლება დართოს კერძო პირებს დუშეთის, თელავის და ბორჩალოს მაზრებში პურის ხორბლის შესყიდვისა, მხოლოდ იმ პირობით, თუ შესყიდულ ხორბალს ჩამოიტანენ თფილისში ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების მისამართით. ამიტომ დადგენილია დაუბრკოლებლივ გამოუშვან სასურსათო ბარგი, როგორც რკინის გზებით, ისე გზატკეცილებითაც. რეკვიზიცია ამ სასურსათო ბარგის, რომელსაც თფილისში ჩამოიტანენ, არ შეიძლება. ამ ბარგის სასურსათო განყოფილების მისამართით გაგზავნას მიზნათ აქვს მოაწყოს სწორი აღწერა იმ პურისა, რომელიც თფილისში შემოდის. ივლისის 30 თათბირის დადგენილებანი დაამტკიცა მომარაგების მინისტრმა.

**გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის ბრძანება.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის მიერ რკინის გზებზე შემდეგი ბრძანება გაიცა: თანახმად მომარაგების მინისტრის დადგენილებისა, მცხოვრებთ უფლება აქვთ ბორჩალოს მაზრაში პურის შესყიდვისა და მისი თფილისში გაგზავნისა. ამიტომ გევალებათ თქვენ მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა ბორჩალოს მაზრაში რკინის გზის ყველა სადგურმა თავისუფლად მიიღოს სასურსათო ბარგი, მიუხედავად რაოდენობისა.

# ოსების მდგომარეობა

წარსულ კვირაში შინაგან საქმეთა მინისტრი ეწვია გორსა და ცხინვალს, მას სურდა ადგილობრივ გასცნობოდა ოსეთის მცხოვრებთა მდგომარეობას და საქმის საერთო ვითარებას ჯავის ხეობაში.

დაბრუნების შემდეგ ნ. რამიშვილმა განაცხადა, რომ იგი ადგილობრივ დარწმუნდა იმაში, რომ ექსპედიციის დროს ოსების მიმართ მართლა ჰქონებია ადგილი ზოგიერთ ექსცესებს. ეხლა ეს ექსცესები აღარ არსებობს და ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, შინ. საქმეთა მინისტრმა მილიციასა და გვარდიას მისცა ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ეჭიროთ მათ თავი მომავალში ოსების მიმართ. თუ ისინი არა სათანადოთ მოიქცენ, იმ შემთხვევაში მათ პასუხისგებაში მისცემენ. შინ. საქმეთა მინისტრმა ამასთანავე განაცხადა, რომ ჯავის ხეობის აჯანყებულებმა დასტოვეს საქართველო და ჩრდილო ოსეთში გადავიდენო. მათი დანარჩენი ნაწილი იქითვე საჩქაროდ ახდენს ევაკუაციასო. განთავისუფლებულ მიწებს იჭერენ რაჭის, დუშეთის და ოზურგეთის მაზრიდან გადმოსახლებულნი. შინაგან საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ საერთოდ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არის. (სდს)

# გორის აღდგენა

განსაკუთრებულმა გეოლოგიურმა კომისიამ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის განსაკუთრებულ კომიტეტს წარუდგინა მოხსენება გორის აღდგენის საკითხზე თავისი მუშაობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქალაქის ახალი ნაწილი უნდა გაშენდეს უფლის-ციხის გზისაკენ მდებარე გორებზე და არტილერიის ყაზარმებს იქით. მაგრამ, რადგანაც ეს მიწები კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნით, კომისია ფიქრობს გამოიმუშაოს წესები ამ მიწების ჩამორთმევისა; ამ ადგილების სივრცე უდრის სულ 35 დესიატინას. ამ მიწების მეპატრონეებს მისცემენ ლიახვის ნაპირზე მდებარე ადგილებს. კომისია თავის მოხსენებაში აღნიშნავს: საჭიროა საჩქაროდ განხორციელდეს დასახული გეგმა და აიგოს სახლები, რათა ამგვარად მცხოვრებლებს საშუალება ექნეთ ზამთარში თავის შეფარებისაო. მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა განიხილა ეს მოხსენება და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა სათანადო პროექტი გორის აღდგენისა. პროექტს ამ დღეებში მთავრობას წარუდგენენ განსახილველად. (სდს).

# სამაზრო ერობის მეშვიდე სესია

ივლ. 29 დილის სხდომაზე მოისმინეს საგრარო განყოფილების ხარჯთაღრიცხვა და კამათის შემდეგ დაამტკიცეს. შემდეგ საექიმო სასანიტარო მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ლომოურმა. მოხსენებაში აღნიშნულია: 1 ნახ. წლის განმავლობაში ყველა საექიმო რაიონებში ჩანიშნულია 44,184 ავადმყოფი, ამათ რიცხვში 1920 წ. 17,879 ავადმყ. აქედან მალიარიით ავადყოფილა 9,790, ამ რიცხვიდან 1920 წ. 2,476; ქლექიანი ყოფილა 822, აქედან 1920 წ. 447 კაცი. ვენერიული ავადმყოფი ყოფილა 342, აქედან 1919 წ. 125 და 1920 წ. 217 კაცი შემდეგ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თფილისის მაზრაში ითვლება 90,000 სულამდე და მიწის რაოდენობა კი 3,966 კვადრ. ვერს უდრისო. ყოველ კვადრ. ვერსზე 32 ავადმყოფი მოდიოდა წელიწადში. თითოეულ ამბულატორიაში წლის განმავლობაში გაუვლია 3.859 კაცს და დღეში კი გაუვლია 10,7 კაცს. ყოველი ავადმყოფი ჯდებოდა დაახლოვებით 45 მან. ამას გარდა ყოველ ავადმყოფზე იხარჯებოდა 12 მან. წამალი.

საღამოს სხდომაზე მოისმინეს ი. ქურდიანის მოხსენება აგრონომიულ განყოფილების მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ ალბულახის მანგლისის, საგარეჯოს, მარტყოფის და სართიჭალის რაიონებში დაარსებული ყოფილა საგრონომიო პუნქტები. საგარეჯოს რაიონში მოწყობილია საგრონომიო კაბინეტი. განზრახულია ყველა რაიონში მეტერეოლოგიურ სადგურების მოწყობა· სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა გასავრცელებლად განზრახულია სპეციალური წიგნების გამოცემის საქმის ფართოდ დაყენება და სოფლებში ლექციების და საუბრების მოწყობა გლეხებთან. ამავე სხდომაზე მოისმინეს გამგეობის წევრის გოთუას მოხსენება მაზრაში კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1914 წელში მაზრაში იყო სულ 54 სკოლა, რომლებშიც ასწავლიდა 74 მასწავლებელი და სწავლობდა 3,182 მოწაფე. ერთი სკოლა მოდიოდა 1,810 სულზე და სკოლის გარეშე რჩებოდა მოსწავლე ახალგაზდობის 64%. ეხლა კი სულ სხვა მდგომარეობა არის: მაზრაში გაიხსნა 74 სკოლა, აქედან 3 უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. ამ სკოლებში ასწავლის 102 მასწავლებელი და სწავლობს 3.942 მოწაფე. ამგვარად ერთი სკოლა მოდის 1 365 მცხოვრებზე. სკოლის გარეშე რჩება ახალგაზრდობის 57 %. მაზრაში სკოლის გარეშე სწავლებისათვის დაარსებულია საღამოს კურსები შემდეგ ადგილებში: ზემო-ავჭალაში, ხაშმში, ნინოწმინდაში, გიორგიწმინდაში, საგარეჯოში და მონავში. ამ კურსებზე ორივე სქესის 300 მსმენელი სწავლობს. მომავალში განზრახულია თფილისის მაზრა გაჰყონ 5 სასკოლო რაიონად. ამ რაიონებში მოწყობილი იქნება სამკითხველოები, კურსები, სახალხო სახლები და სხვ.

ივლისის 30 სხდომაზე მოისმინეს სამაზრო ერობის გ კანდელაკის მოხსენება საადმინისტრაციო აპარატის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა: თფილისის მაზრა გაყოფილია 8 სამილიციო რაიონათ, რომელნიც სამაზრო მილიციის სამართველოსთან ტელეფონით არიან შეერთებულნი. მოხსენებამ გამოიწვია დიდი მსჯელობა, რის შემდეგ რეზოლიუცია მიიღეს: ყრილობა აღიარებს საადმინისტრაციო განყოფილების ენერგიულ მოქმედებას და იძლევა წინადადებას: 1) რაც შეიძლება ჩქარ-ჩქარა მოახდინონ მილიციის საქმეთა რევიზია, 2) სამართალში იქნეს მიცემული დამნაშავენი და 3) დაუღალავად ებრძოლონ სპეკულიაციას. ამის შემდეგ მოისმინეს საფინანსო კომისიის მოხსენება მოსამსახურეთა ჯამაგირების შესახებ. (სდს).

# ძველი სიმღერა-გალობა და ლილინები გურულ კილოზე.

ქართულ ხელოვნების ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეთმოს ძველ სიმღერა-გალობის აღდგენას და მის გავრცელებას ხალხში.

მამა-პაპურ კილოზე ლილინი, ტკბილი საგალობლები და გულის წარმტაცი ხელოვნური სიმშვენიერე გურულ სიმღერებისა თავისი საუცხოვო კრიმანჭულებით, სადაც სავსებით დაცულია ქართული კილო და მდიდარი შინაარსი, დაუსრულებელი წყაროა ყოველი მუსიკალური შემოქმედებისა. ამ ნოყიერ ნიადაგზე შეუძლიან ფართოდ გაშალოს ფრთები მომავალმა გენიოსმა ქართულ მუსიკაში.

მამაცობა და გმირობა, ღალატი ბრძოლის დროს, სილაჩრე, სპეტაკი სიყვარული და სხ.—რა გინდა, რომ ქართველი არ გამოსთქვამდა თავის სიმღერალილინში.

საუცხოვო მელოდიები, კომპოზიცია ხმების—დუმბი, დვინი, ზილი და კნინი თავის ინტერვალებით თვით სიმღერის ღმერთსაც კი შურით აუვსებდა გულს და ქედს მოახრევინებდა ქართველის შემოქმედების ნიჭის წინაშე.

მართალია, ასი წლის მონობამ ძალზედ შეაფერხა ჩვენში აჩქარებულის ტემპით ზრდა და განვითარება კულტურისა, მაგრამ ამ მონობამ ვერ შესძლო სრულებით ჩაქრობა იმ მიფერფლილი ნაკვერცხლისა, რომელშიაც ღვივოდა მომავალი აღგზნებული ცეცხლი ქართველი ერის გამოღვიძებისა, რომლითაც იგი დღეს, განთავისუფლების ხანაში გაშმაგებული სრბოლით ჰკვეთავს კლდეს ქარს, ეკალს, ებრძვის თვით ჯოჯოხეთის ძალებსაც კი; მან დაბრკოლება არ იცის და თეთრი გიორგის მერანისებურათ თავს ევლება ბნელით მოცულ მონობის მთას და თვით სინათლის სამეფოს გულში იჭრება.

განთავისუფლებული ქართველი კვალად ბერტყავს თავის მიმტვერებულ ჩანგს, წმენდს და ჰიმავს სიმებს, აწყობს ხმებს, იგონებს წარსულს, უხმატკბილებს აწმყოს, გიემაეი ოცნებით ანხორციელებს მომავალ დიდებას და მღერის თავისებურათ მამა-პაპურ „სუფრის ხელხვავს" „ხასანბეგურას", „პატარა საყვარელო"-ს, „ალიფაშას" და სხ.,—მღერის, ლილინებს და მგოსნური აღმაფრენით შორს, შორს მაღლა მიილტვის, მიწიერი უახლოვდება ზეციერს და თან იტაცებს მსმენელთ, ზნეობა განსპეტაკებულთ—მხეცურ მიდრეკილებათა დაკარგვის შემდეგ ციური ჰანგების ზეგავლენით.

ასეთი სურათი მეხატება თვალწინ, როდესაც ვითვალისწინებ მომავალს ჩვენი ეროვნული მუსიკის აღორძინებისას ძველი სიმღერა-გალობის მდიდარ

და უხვ ნიადაგზე. მაგრამ ამავე დროს საშინელება იცავს გულს.

ვინღა დარჩა ჩვენში ძველი სიმღერ-გალობა ღიღინების მცოდნე? სადღა გვყანან დუმბაძეები, ჩხატარაშვილები, ხავთასები, ჰალაგანიძეები და კანდელაკები? სადღაა ქორიძე, რომელმაც შექმნა მხოლოდ დასაწყისი სიმღერა-გალობის ნოტებზე გადაღებისა? ქორიძე ხომ დასაწყისშივე მოგვტაცა სიკვდილმა.

დაგვრჩენია მხოლოდ ერთი იმედი, თუ ეს იმედიც მოახლოვებულმა სიკვდილმა არ გაანიავა. ეს ერთად-ერთი იმედია დუმბაძისა და მისი ამხანაგების დროის საუცხოვო მცოდნე ძველი სიმღერა-გალობისა და იმავე დროს ნიჭიერი ლოტბარი მელქისედეკ ნაკაშიძე, როგორაც აგეთი ღირსების პიროვნება, მელქისედეკ ნაკაშიძე ჩვენ გვხვდება წასული წლების ქართულ და რუსულ მწერლობაშიაც *) ის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა სიმღერა-გალობას 90 იან წლებიდან და დღეს უკვე ძალზედ მოხუცი მასწავლებლობს ამავე დარგში სახალხო გვარდიაში. სანამ ცოცხალია ეს დამსახურებული დი პატიოსანი მოხუცი, შეიძლება ჩვენი შიში ძველი სიმღერა-გალობის აღდგენის შესახებ გააქარწყლოს მან, თუ მთავრობა მოჰკიდებს მას ხელს და დააფასებს. დრო არ იცდის.

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია, რომელსაც ჩემი აზრით, პირდაპირ ეხება ზემოხსენებული საკითხის მოწყობა. იმედია ბეჯითად შეუწყობს ხელს შემდეგი პროექტის მალე განხორციელებას: 1) უნდა დაარსდეს ქ. თფილისში ჯერ-ჯერობით ექვსი კაცისაგან შემდგარი ლოტბართა გუნდი ხსენებული ბ. ნაკაშიძის ხელმძღვანელობით, რომელიც გუნდს გადასცემს დიდძალ სიმღერა-გალობას და გაწვრთნის მათ ლოტბარობაში; 2) ეს გუნდი უნდა იქნეს გული,—დედაბოძი, მთელ საქართველოში მომფენი სიმღერა-გალობისა; 3) გუნდი ვალდებული უნდა იყოს ყოველი სიმღერა-გალობა ან ღიღინი მათი ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ გადაიღოს ნოტებზე სპეციალური თანხის საშუალებით, რომ უკლისად გადაეცეს შთამომავლობას ფასდაუდებელი სიმდიდრე სიმღერა-გალობისა; 4) გუნდი ყოველის მხრით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მთავრობიდან მაზე და კისრებული დიდ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმის ღირსეულად შესრულებისათვის.

აღნიშნულ გუნდს ფართო მასსა ქართველი საზოგადოებისა უნდა უწევდეს მორალურ დახმარებას, თუ გვინდა ეს დარგი ჩვენი ხელოვნებისა შესაფერ სიმაღლეზე დავაყენოთ და რესპუბლიკის მომავალი დიდების შექმნას და განმტკიცებას ხელი შეუწყოთ.

ქ. კელენჯერიძე.

## კანონ-პროექტი ბინებზე უდიდეს ფასების დაწესების შესახებ

იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა ბინებზე და სადგომებზე უდიდეს ფასის დაწესების შესახებ. პროექტი განსახილველად გადაეცა მთავრობას. ეს საკითხი დამფ. კრების ადგილობრივ მართველობის კომისიის ინიციატივით აღიძრა. პროექტი ითვალისწინებს ქირის მომატების უფლებას დღიდან დამფ. კრების მიერ დეკრეტის მიღებისა იმ ბინებზე, ოთახებზე, კუთხეებზე და სადგომებზე, რომლებიც დაქირავებული აქვთ სახელმწიფო, საზოგადო, საქველმოქმედო და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ან პროფესიონალურ დაწესებულებებს. ქირის მომატება 1917 წლის იანვრის პირველამდე არსებულ ქირასთან შედარებით შეიძლება განსაზღვრულ ნორმით, ამასთანავე იმ ბინების ქირა, რომლებიც სავაჭრო, ან სამრეწველო დაწესებულებებს აქვთ აღებული, შეიძლება გაორკეცდეს. გამონაკლისს შეადგენს ბათომი, სადაც ქირის მომატება აკრძალულია. დეკრეტის პროექტს გათვალისწინებული აქვს, რომ დამფ. კრების მიერ დეკრეტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, ქირის შეცვლის უფლება ეძლევათ ქალაქებში ქალაქის თვითმართველობებს და ქალაქეს გარეშე კი, სამაზრო ერობის ხმოსანთა კრებას.

პროექტს გათვალისწინებული აქვს აგრეთვე, რომ მეეზოვეების, კარის კაცების, ეზოს განათებისა და სახლის წინა ადგილას განათებისათვის საჭირო თანხა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადახდეს ბინის დამქირავებლებს. სახლის პატრონს ევალება აგრეთვე ბინების, წყალსადენის და სხვ. შეკეთება. ოთახის ქირა ისაზღვრება მთელი ბინის ფასთან შეფარდებით; ამას მიემატება 10 პროც. ავეჯეულობის ხმარებისათვის დამქირავებელს ქირის 25 პროც. გადახდება. ოთახის დამქირავებელს უფლება აქვს ისარგებლოს სამზარეულოთი, თუ იგი დამატებით ოთახის ქირის 15 პროც. გადაიხდის. (სდს).

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 29 ივლისს ნაძალადევის თეატრის ახალ შენობაში ს. ს.-დ. მ. პ. პირველ რაიონის წევრთა საერთო კრებაზე ამხ. ალ. ლომთათიძემ დაამთავრა მოხსენება. მოხსენების პირველი ნაწილი წაიკითხა 22 ივლ. შემდეგ თემაზე: „პარტიული ყრილობის მუშაობა". პირველათ მომხსენებელმა განუმარტა დამსწრეთ პარტიულ ყრილობის მნიშვნელობა. შემდეგ დაწვრილებით შეეხო ყრილობის დღის წესრიგში აღნიშნულ საკითხებს. ხაზი გაუსვა ყრილობაზე ოპოზიციის გამოსვლებს და მის სარგებლიანობას საკითხების გარკვევა-გაშუქებაში. კრებებზე მუშები საკმაოთ ესწრებოდნენ და კმაყოფილნიც დარჩნენ. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ალ. ლომთათიძისა მეორე პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ, ს. ს.-დ. მ. პ. პირველ რაიონის წევრთა საერთო კრება სთვლის ყრილობის მუშაობას სწორეთ და ნაყოფიერათ,—აგრეთვე კრება მიიღებს ენერგიულ ზომებს, რათა ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუციები გატარებულ იქნენ ცხოვრებაში.

მდივანი გ. ფოფხაძე.

**თფილისი.** 29 ივლისს, საღამოს 6 ს. შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. მე-2 რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. ლ. მამალაძის თავმჯდომარეობით. გაირჩა შემდეგი საკითხები: 1) საღამოს მომწყობ კომისიის მოხსენების თანახმად არჩეულ იქნენ თანამშრომლები საღამოს საჭიროებისთვის. 2) შემდეგ მოსმენილ იქნა სახ. რკ. გზ. სამმართველოს მცირე კოლექტივის განცხადება, რომლის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: ვინაიდან ხსენებულ მცირე კოლექტივს არავითარი კონკრეტიული ბრალდება არ წამოუყენებია ნ. ლეჟავას წინააღმდეგ, ნ. ლეჟავა დადასტურებულ იქნას თავის ადგილზე და თუ სამპ. მცირე კოლექტივი დაამტკიცებს ნ. ლეჟავას წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს, ნ. ლეჟავა დათხოვილი იქნება ადგილიდან და გაძევებული პარტიიდან. 3) ფოსტა-ტელეგრაფის ქვე-კოლექტივის განცხადება, მათი მეორე რაიონში გადმორიცხვის შესახებ, დაკმაყოფილებულ იქნა; ამასთანავე დადგენილია, რომ ხსენებულ ქვეკოლექტივში და იმ ქარხნებში, სადაც ჯერ არ შექმნილა სარეზერვო ჯარი, მოწვეული იქნება ადგილობრივი კრებები, სადაც შტაბის წარმომადგენელი განუმარტავს მათ სარეზერვო ჯარის მნიშვნელობას და მოვალეობას და მერე შეიქმნება ასეთი ჯარი საიმედო ამხანაგებისაგან. 4) ს. თევზაძის მოხსენება და თ. ხუხუნაიშვილის წერილობითი განცხადება მიღებულ იქნა ცნობად. 5) კოლექტივის დადგენილებით ხუთშაბათს, 5 აგვისტოს, ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლში მოწვეული იქნება ს. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის საზოგადო პარტიული კრება.

მდივანი ვენ. ჯორბენაძე.

## მუშათა შორის

**თბილისის სამხედრო სასურსათო მაღაზია.** *)

28 ივლისს შესდგა საზოგადო კრება სამხედრო სასურსათო მაღაზიის მუშამოსამსახურეთა, რომელსაც დაესწრენ ლითონზე მომუშავეთა განახლებული კავშირის წარმომადგენლები: მამალაძე, ლაცაბიძე, კოპალეიშვილი და შუბაშვილი. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. მამალაძე. ჩვენ არ შევეხებით დაწვრილებით ანგარიშებს ამ კრებისას, არამედ აღვნიშნავთ იმ პრინციპიალურ მთავარ დებულებას, რომლის გარშემო ასტყდა დავა, რომელიც დარღვეულ იქნა და რომლის არ დაცვამ მუშათა ორგანიზაციაში შეიტანა ანარქია და სრული დეზორგანიზაცია. ეს არის ის მთავარი პრინციპი მუშაობისა, რომელიც გაბატონებულია მთელ საქართველოს რესპუბლიკაში: ძირიდან კეთება საქმისა და არა არა მკითხე ოპეკუნობით.

საქმე შემდეგშია: კრება მოწვეული იყო ჩვენ მიერ (ე. ი. თავმჯდომარე და მდივნის მიერ ადგილობრივი კომიტეტისა). მიზნად გვქონდა გაგვეცნო კრებისათვის, თუ როგორ შეასრულა კომიტეტმა ის დავალებები, რომლებიც მუშების მიერ იყვნენ დაკისრებული მასზე. სრულიად მოულოდნელად გვესტუმრენ კავშირის წევრები, (არავითარი ცნობა წინასწარ არ გვქონია) რომლების დასწრება ჩვენთვის დიდად ხასიამოვნო იყო, მით უფრო, რომ ადგილობრივ საქარხნო კომიტეტში არსებობდა პრინციპიალური უთანხმოება მუშაობაში, და ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ამ კავშირის წარმომადგენლების დახმარებით მოისპობოდა ეს უთანხმოება. მაგრამ, საუბედუროთ, კრებაზე გამოირკვა, რომ თვითონ კავშირის პრეზიდიუმის წევრი ხელს უწყობს ამ განხეთქილებას და სრულიად გამოურკვევლათ და საქმის გაუცნობლათ მიზნათ დაუსახავს კომიტეტის დანგრევა და განსაკუთრებით მისი ორი წევრის, ე. ი. ჩვენი თავმჯდომარის და მდივნის გადაყენება. მერმეთ იცით რატომ? იმიტომ, რომ ადგილობრივმა საქარხნო კომიტეტმა არ შეასრულა კავშირის მოწერილობა და არ გადააყენა საქმის მწარმოებელი ივანე ნაცვალაძე სამსახურიდან, რომელსაც ბრალს სდებდენ იმაში, თითქო მისი ბრძანებით ჩამხჩვალიყო 12 ივლისს სასურსათო მაღაზიის ბარგ სადებ ეზოში ფეხისადგილის ორმოში კაცი. რომ ნათელი და მთლიანი წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა, თუ რა აწუხებთ ამ წერილის დამწერთ, უნდა მოგითხროთ შემდეგი:

ივლისის 12 სასურსათო მაღაზიაში დატრიალდა შემდეგი უბედურობა: ფეხის ალაგის ორმოში ჩავარდა გოჭი, რომლის ამოსაყვანათ ჩავიდა ორმოში მეეზოვე არუთინოვი, რომელიც მავნე გაზით გაიგუდა და წუმპეში დაიხრჩვა. მას მიეშველა იქვე მდგომი მუშა დ. ავალიშვილი, რომელსაც იგივე ბედი ეწეოდა, რომ სასწრაფოთ არ ყოფილიყო მიღებული ზომები, რის შემდეგაც ის იქნა ამოყვანილი, და ექიმების დახმარებით დღეს კარგათ არის. მესამემ იორდანიშვილმა, რომელიც ბაწრით ჩაეშვა ორმოში მისაშველებლათ, იგრძნო თუ არა ცუდი გავლენა გაზისაგან, დაიძახა და დაუყონებლივ იქნა ისიც ამოყვანილი. მეოთხე ყმაწვილი გამცემლიძე ორმოში სრულებით არ ჩასულა. აი ეს არის მომხდარი ფაქტი, და რაც შეეხება იმას, იყო თუ არა დამნაშავე ვინმე ამ შემთხვევაში, და თუ იყო—ვინ, ეს იყო გამოსარკვევი საკითხი და მოითხოვდა კომისიას. თავისთავად ცხადია, რომ ამ კითხვის გაშუქება-გამოკვლევა ევალებოდა ადგილობრივ კომიტეტს, მაგრამ, სამწუხაროდ დაირღვა ეს წესი. კომიტეტის დაუკითხავათ არა-მკითხეებმა იმ დღესვე აფრინეს ამბავი ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირში, რომელიც, სამწუხაროთ, დაეყრდნო ამ კერძო ცნობებს და გამოაქვეყნეს გაზეთში სრულიად დამახინჯებულათ მომხდარი ფაქტი. მაგალ., ორი კაცი დამხრჩვალათ გამოაცხადა და ორი უცოლშვილო ახალგაზდები წვრილ ცოლშვილიანებათ და გამცემლიძე ორმოში ჩავარდნილათ, დანარჩენი ბრალდებები იყო გამოსარკვევი.

რაშია საქმე? რატომ არ შეგვეკითხა ადგილობრივ მთლიან კომიტეტს. აღსანიშნავია ის, რომ მომხდარ უბედურების მეორე დღესვე მოვიდნენ ადგილობრივი წარმომადგენლები: შრომის სამინისტროსი, სეკრეტარიატისა და აგრეთვე კავშირისა. უკანასკნელი ლაცაბიძის სახით, რომლის, როგორც კავშირის წარმომადგენლის, უპირველესი მოვალეობა იყო მოეკითხა ადგილობრივი კომიტეტი და გაეგო, თუ რას ფიქრობდა ის. მაგრამ მას ეს სრულებით დაავიწყდა (თუ განგებ დაივიწყა) და დაკმაყოფილებული კერძო ცნობებით, გაეშურა რედაქციისაკენ. აქ პირველად გადალახა მან და გასთელა ფეხ-ქვეშ ის მთავარი პრინციპები და დისციპლინა კავშირისა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს და იცავდეს არამც თუ ისეთი კავშირის პეზიდიუმის წევრი, როგორიცაა ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირის წევრი ლაცაბიძე, არამედ—ყოფილი შეგნებული მუშა.

ეს არ კმარა, გავყვეთ ქვევით. მეორე დღესვე კომიტეტს მოსდის მოწერილობა, რათა გადაყენებულ იქნას სამსახურიდან საქმის მწარმოებელი ივ. ნაცვალაძე. რასაკვირველია ეს ზევიდან მოხვევა თავზე ასეთი საქმისა ადგილობრივ კომიტეტს არ ეპატიება და ჩვენ, თავმჯდომარემ და მდივანმა, ვიგრძენით რა აქ პრინციპის გადალახვა და ორგანიზაციული მუშაობის გვერდის ახვევა, არ შევასრულეთ ის და კითხვის გამოსარკვევათ მივმართეთ კავშირს, რის შემდეგაც კავშირმა განუცხადა პირდაპირ ბრძანება შემდეგი: „На ваше отношеніе отъ 15 го Іюлія с. г. за № 92 Сообщаем, что предписаніе наше относительно снятія Нацвaладзе, должно обязательно исполнено. Секретарь Лацабидзе".

ამის შემდეგ ჩვენ მიერ გამოძიების წარმოება ყოვლად შეუძლებელი იყო. ლაცაბიძე, რომელმაც ასე გამოგვიტყა ყური, რომ ის კარგი დამცველია მუშათა ინტერესებისა, ნაცვლად იმისა, რომ აღედგინა კავშირის დისციპლინა ადგილობრივ, გაეღვიძებია მუშაობა, თუ ადგილობრივ ამხანაგებს სძინავდათ, როგორც ამას თვითონ ფიქრობს, მან ხელი შეუწყო მუშათა დაქსაქსვას და გზა-კვალის აბნევას და პირდაპირი დამხმარეც კი გაუხდა იმ პირებს, რომლებიც ცდილობდნენ წყალის ამღვრევას სხვადასხვა მიზნით.

აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ არც ერთი იმ ბრალდებათაგანი, რომელიც გაზეთში იყო მოთავსებული, არ დასმულა ადგილობრივ ორგანიზაციაში გასარჩევათ, და, მაშასადამე, არც შეიძლებოდა მიეღო რაიმე დასკვნა ამის შესახებ იმ პირებს, ვისაც ეს ქონდა გულში ჩამარხული, და მხოლოდ გაზეთის ფურცელზე გამოაქვეყნა. დაუბრუნდეთ ისევ ზემოხსენებული კრების მუშაობას.

ჩვენ გავაკეთეთ მოხსენება ადგილობრივი კომიტეტის მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც შევეკითხეთ კრებას, რომ გამოეტანათ თავისი შეხედულება კომიტეტის წარსულ მუშაობისა და დაესახა ახალი პერსპექტივები. კრებამ ვერ წამოაყენა ვერც ერთი ფაქტი დანაშაულობისა; მაგრამ აი აღმოჩნდა ლაცაბიძე, რომელმაც მუშათა გრძნობაზე გაითამაშა კომინისტურათ და ბოლოს მოითხოვა კომიტეტის (იგულისხმეთ თავმჯდომარე და მდივანი) გამოცვლა და ხელ-ახალი არჩევნები. იმის ლაპარაკში ნათლად სჩანდა გაუქმება ადგილობრივი კომიტეტის ნამუშევარისა, სადაც თვითონ პირდებოდა ზევიდან საქმის გაკეთებას, და ერთხელაც არ ცდილა გაერკვია ის აზრი, რომ ადგილობრივ ყოფილიყო მუშაობა ორგანიზაციისა. მიუხედავათ იმისა, რომ დღის წესრიგში არ ყოფილა დასმული საკითხი ახალი არჩევნებისა, მაგრამ რადგან თურმე ლაცაბიძის პორთფელში ყოფილიყო ეს კითხვა დამწყვდეული უკვე მას შემდეგ, რაც ჩვენ მის ნაბიჯს არ ავყევით და არ დავითხოვეთ გაუგებრათ მისი ბრძანებით ზემოხსენებული საქმის მწარმოებელი, გაიხსნა პორთფელი და ეს კითხვა გადმოვიდა იქიდან კრების დღის წესრიგში. ეს ჩვენთვის პირადათ, რა თქმა უნდა, დიდათ სასიამოვნო იყო (თუ არ მივიღებთ მხედველობაში საქმის ინტერესს), მაგრამ აი მიდგა ჯერი არჩევნებზე და დარწმუნებული ვართ რომ მაშინ თუ ლაცაბიძემ არა, სხვებმა მაინც იგრძნეს შემდარი ნაბიჯი, მაგრამ გვიანღა იყო.

თუმცაღა ერთმა ნაწილმა საქარხნო კომიტეტისამ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენ მოვითხოვეთ კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ყოველივე განხეთქილება, მაგრამ ეს უყურადღებოთ იქნა დატოვებული.

მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ჩვენ გვალაპარაკებს პრინციპების შელახვა, ორგანიზაციული მუშაობის დარღვევა, მუშათა დაქსაქსვა და არა კერძო ინტერესები.

დაბოლოს ჩვენ კიდევ მოვითხოვთ თფილისის სეკრეტარიატისაგან კომისიას, რომელიც საბოლოოთ გამოარკვევს ამ კონფლიქტს, რადგან ამას გაექცა კავშირის წარმომადგენელი ბ. ლაცაბიძე.

ყოფილი საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **ბიქტორ მეგრელიშვილი.**

მდივანი **პიმენ რამიშვილი.**

P. S. ამას იზიარებენ რამდენიმე ამხანაგები—წევრები კავშირისა, რომლების სია, თუ საჭირო იქნება, წარმოგიდგენთ.

## პროვინცია

**ბორჩალოს მაზრა.** ვერ იქნა და ვერ მოეწყო რიგიანათ მაზრაში საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზედ, რადგანაც ერობაში მოსამსახურეებმა, გარდა ორიოდე პირისა, არ იციან ქართული ენა. თუ როგორმე მოგიხდა და ქაღალდი შეიტანე ქართულ ენაზედ დაწერილი,—ეს იქნება მოხელის და თქვენი წამების დღე... მესმის ასეთი მოვლენა ეპატიოთ ამორჩეულ პირთ—გამგეობის წევრთ, ან ისეთს დაქირავებულ მოხელე—სპეციალისტებს, როგორც ინჟინერს, აგრონომს და სხ., მაგრამ ყოვლად დაუშვებელია ვიყოლიოთ ერობებში უბრალო გადამწერლებათ ქართული ენის არ მცოდნენი.

სიხარულით ვეგებებით ახლად დანიშნულ მაზრის ერობის თავმჯდომარის განკარგულებას ყველა განყოფილებისადმი ერობისა, რომლითაც იგი მოითხოვს წარუდგინონ მას ერობის მოსამსახურეთა შესახებ ცნობები, თუ რომელი მოსამსახურე რა ეროვნებას ეკუთვნის; იცის თუ არა სახელმწიფო ენა და სხვა... იქნებ ამის შემდეგ მაინც ვეღირსოთ მაზრაში სახელმწიფო ენაზედ საქმის წარმოებას.

მაზრაში კლავინდელთან შედარებით სიმშვიდეა, გარდა იმ გამოსვლებისა, რომლებსაც ახდენს ერთი და იგივე სომეხთა ბრბო.

8 ივლისს სოფ. ვარდისუბანში მცხოვრები ქართველი ალექსი ტატულაშვილი წასულა თავის 6 წლის პატარა ძმისწულთან ერთად მახლობელ ძროხის ბინებზე; მათ გზაში გადაღობებოდა სომეხ ყაჩაღთა ბრბო. ტატულაშვილისათვის საქონლისათვის გამოეჭრათ ყელი; დიდი დავი-დარაბის შემდეგ აღმოაჩინეს ამ ტატულაშვილის გვამი.

ქართველები, რომლებიც კი სდევნილნი ამ ავაზაკების და შეშინებულნი არიან ბრბოს მიერ, ვეღარ სცხოვრობენ თავთავიანთ სოფლებში და იძულებულნი არიან თავის თავი სხვაგან შეაფარონ.

18 ივლისს გერმანელების ახალშენ ეკატერინფელდში, საღამოთი საცეკვაო ბაღში „მუშტაიდში" ადგილობრივ რაიონის შტაბის გვარდიელმა რაჟდენ მელაძემ რევოლვერით მოჰკლა მაზრის უფროსის მილიციონერი მიშა ჯანიაშვილი, რადგანაც ეს უკანასკნელი, ჯანიაშვილი, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი, უშლიდა მთვრალ გვარდიელს წარამარათ სროლას რევოლვერიდან.

მაზრაში წელს—ჭირნახულის მოსავალი კარგი იყო, მაგრამ ძალიან ცუდი ბედი ეწვია ქართველთა სოფლებს—ყალმაზანს და მიჯას, რომლებიც შარშანაც ხომ დასეტყვა და ძლივ-ძლივობით მთავრობის და ერობის დახმარებით მოახწიეს ზაფხულამდის წელს კი ისე დასეტყვა, რომ მათი ფეხზედ დაყენება ძლიერ ძნელია, თუ მთავრობამ არ მიაქცია დროზედ განსაკუთრებული ყურადღება და დროზედ არ მიეშველა სურსათით: მცხოვრებთ ეხლავ დაიწყეს მუშა საქონლის გაყიდვა, რათა შეიძინონ ზამთრის ცოტაოდენი საზრდო მაინც. მაგრამ ასე რომ განაგრძონ გაყიდვა, შემდეგისათვის მთლათ განადგურდებიან და სილატაკეს თავს ვეღარ დააღწევენ.

ტ. ვ.

**ივრის თემი.** ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო ჩვენს ამომრჩევლებს ივრის თემის გამგების უსუსურობა, რასაც შედეგათ მოჰყვა ის, რომ გამოცვლილ იქნენ გამგენი და ახალი არჩეულნი, რომლების მოხებითაც თემი უფრო კარგ ნიადაგზე იყო მოწყობილი. ამისათვის უკანასკნელ არჩევნებზე 7 ივლისს ისევ ძველები ავირჩიეთ. აქ აღარ შევუდგები ან ქებას ერთისას და ან მეორის ძაგებას, რაიც ხმოსანთა ყრილობაზე გამოირკვა, რის ოქმიც უნდა გაგზავნილიყო სამაზრო ერობაში (ასლი) და საქმეს კი შესდგომოდნენ 7 ივლისს არჩეულნი. 17 ხმით მიხეილ ნანეიშვილი, 15 ხმით ვანო მაისურაძე და 15 ხმით ჯიღაური. ყრილობის შემადგენლობამ კანონიერი იყო და არჩევნები ფარული კენჭის ყრით მოხდა. მაზრის ერობამ უკანონოთ სცნო არჩევნები და ამისათვის ისევ ძალაში რჩებიან გამოცვლილნი გამგენი.

სამწუხაროა როდესაც, მგონია, განგებ ოქმი არ წარისდგენია მაზრის ერობას და შინაარსი არ წაუკითხავთ უკანასკნელი არჩევნებისა და უკანონობაც შეატყო არჩევნებს. მიუხედავათ იმისა, რომ ბ.ბ. პოლკოვნიკების გამგეობის არჩევნების დროს (კანდიდატებმა არჩილ ბილანიშვილისა) საპროტესტოთ ცარიელი კენჭები ცვიოდა ყუთში და ზოგი ხუთი ხმით იყო არჩეული.

ბ. ლომაურმა ეს კარგათ იცის—17 და 15 ხმა და ერობა უკანონოთ სთვლის. ერთს ვიტყვი: ბ. ლომაურის [illegible]

ეინიანობამ უკვე ზარალი მოუტანა ... [illegible]

### წერილი რედ. მიმართ

„სახალხო საქმის" 875 ნომერში ... „ინტრიგის" ... [illegible]

რედაქტორი [illegible]

## განცხადებანი


**სახლი მებელი და ავეჯი**

იყიდება ... [illegible] ... ბინა 3 ... (2511 1—1)

**სახალხო საუნივერსიტეტო სავაჭრო ესპაჩერობა** ... [illegible] (2489 3—3)

**იყიდება**

... [illegible] ... ბინა 2. (2523—2—1)

ექიმი ი. გ. ქუთათელაძე ... [illegible] ... (2010—15—1)

სამკურნალო ... მიხეილ გელოვანიშვილის ... [illegible] (2458—ო.)

ექიმი ე. ი. პაპაშვილი ... [illegible] (2446—ო.)

ექიმი კ. გ. ჯავახოვი ... [illegible] (2264—ო.)

ექიმი ივ. მუქერია ... [illegible] (1835—ო.)

ექიმი ბ. გ. მეგრელიშვილი ... [illegible] (1790—ო.)

ექიმი ნ. ა. არეშიძე ... [illegible] (1555—ო.)

ექიმი შ. ა. ... [illegible] (1288 25—1)

ექიმი ა. დ. კეკელია ... [illegible] (1838—ო.)

ექიმი ნ. ა. სარიშვილი ... [illegible] (2383—ო.)

მასწავლებელი ... [illegible] (2307 1—1)

ექიმი ... [illegible] (1741—ო.)

ექიმი გ. ი. ... [illegible] (1742—ო.)